საქართველოს დაზვერვის სამსახური
სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი

სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

მეორე გამოცემა ცვლილებებით და დამატებებით

თბილისი

2013

წინამდებარე ლექსიკონი არის მეორე გადამუშავებული გამოცემა მნიშვნელოვანი ცვლილებებით და დამატებებით, რომელიც შეიცავს საქართველოს სადაზვერვო დაწესებულებებში, აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებში დამკვიდრებული და გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებებს.

სპეციალური სამსახურების სისტემაში გამოყენებული ტერმინების ერთიანი გაგება ხელს შეუწყობს სამსახურებს შორის პრაქტიკულ თანამშრომლობას.

სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი შედგება ორი ნაწილისაგან:

I ნაწილი - საგარეო დაზვერვაში გამოყენებული ტერმინები;

II ნაწილი - სამხედრო დაზვერვაში გამოყენებული ტერმინები, სადაც გათვალისწინებულია NATO-ში, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებული სამხედრო-სადაზვერვო ტერმინები.

ვიმედოვნებთ, რომ ლექსიკონი სასარგებლო იქნება როგორც დაზვერვის სპეციალისტებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

ლექსიკონის შემდგენლები:

ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, პოლკოვნიკი გიორგი სურმავა, მედიცინის დოქტორი მარინა გეგელაშვილი, ნუგზარ ბაბუციძე, დავით ბაზღაძე, ვიტალი მიხელიძე, ილია ნარიმანიძე, აკაკი ცინცაძე.

რედაქტორი: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
პოლკოვნიკი მალხაზ ბაძაღუა.

სახელმძღვანელო - ლექსიკონი განხილული და მოწონებულია
სდს-ის სასწავლო-მეთოდურ საბჭოს სხდომაზე
ოქმი №1; 26 მარტი 2013 წელი

- გამოცემულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.
- საქართველოს დაზვერვის სამსახურის სპეციალური მომზადებისა
და გადამზადების ცენტრი.

ISBN 978-9941-0-3577-7

სარჩევი

I. საგარეო დაზვერვაში გამოყენებული ტერმინები.....5

ა.....5
ბ.....21
გ.....22
დ.....27
ე.....29
ვ.....30
თ.....31
ი.....32
კ.....36
ლ.....39
მ.....40
ნ.....42
ო.....43
პ.....56
რ.....58
ს.....59
ტ.....67
უ.....68
ფ.....69
ღ.....70
ყ.....71
შ.....72
ხ.....75

II. სამხედრო დაზვერვაში გამოყენებული ტერმინები.....76

ა.....76
გ.....78
დ.....79
ე.....88
თ.....89
ი.....90
კ.....91
მ.....93
ო.....97
პ.....99
რ.....100
ს.....103
ტ.....118
უ.....119
ფ.....120
შ.....121
ძ.....123
წ.....124
ხ.....125
გამოყენებული ლიტერატურა.....126

I. <u>საგარეო დაზვერვაში გამოყენებული ტერმინები</u>

ა

აგენტი (საიდუმლო თანამშრომელი)	დაზვერვის მიერ ფარული საქმიანობის განსახორციელებლად გადმობირებული პირი, რომელიც საიდუმლოდ, ნებაყოფლობით, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე თანამშრომლობს და არ იმყოფება მის შტატში. აგენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნებია: სადაზვერვო წვდომა, საიმედოობა, სადაზვერვო შესაძლებლობებისა და/ან პერსპექტივების ფლობა. აგენტი შეიძლება გვევლინებოდეს დამუშავების შესაძლო კანდიდატზე პირველადი ინფორმაციის მომწოდებლის, დამმუშავებლის, გადმომბირებლის, ინფორმაციის მომპოვებლის, გამოსაცხადებელი და კონსპირაციული ბინების მფლობელის და ა.შ. როლში.
აგენტი – დამდგენი	აგენტი, რომელიც დაზვერვის დავალებით ახორციელებს სადაზვერვო დაინტერესების ობიექტების (ოპერატიული სამიზნეების) ოპერატიულ დადგენას.
აგენტი- გადამყვანი (მეგზური)	აგენტი, რომელიც გამოიყენება დაზვერვის მიერ დაინტერესების ქვეყანაში მზვერავების, აგენტების ან დაზვერვასთან კავშირში მყოფი სხვა პირების ფარულად გადაყვანის ან სადაზვერვო საქმიანობისთვის საჭირო საშუალებების გადატანის მიზნით.
აგენტი - დეზინფორმატორი	• აგენტი, რომელიც შეგნებულად აწვდის დაზვერვას (სპეცსამსახურს) ცრუ ინფორმაციას. • აგენტი, რომელიც გამოიყენება უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების დეზინფორმირების მიზნით.

აგენტი-გადმომბირებელი	სპეციალურად მომზადებული აგენტი, რომელიც დაზვერვის დავალებით უშუალოდ ახორციელებს ახალი ოპერატიული ინფორმაციის წყაროების გადმობირებას ან მონაწილეობს ასეთ ღონისძიებებში.
აგენტი-დამმუშავებელი	აგენტი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს დაზვერვის ოპერატიული დამუშავების ან შერჩევის ობიექტების შესწავლა-შემოწმებაში და/ან ახდენს მათზე საჭირო ზეგავლენას.
აგენტი-მეკავშირე	აგენტი, რომელიც გამოიყენება დაზვერვის კონსპირაციული, შუალობითი კავშირის განსახორციელებლად დაინტერესების ქვეყანაში მოქმედ ოპერატიული ინფორმაციის წყაროებთან.
აგენტთან მუშაობა	მზვერავის მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს აგენტის მუშაობის ხელმძღვანელობას, მის სწავლებასა და აღზრდას. აგენტთან მუშაობა ხორციელდება მასთან კავშირის საშუალებით და მოიცავს კავშირის ორგანიზებას, სადაზვერვო ინფორმაციის მიღებას, ინსტრუქტაჟს და ახალი დავალების მიცემას, მასთან აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებასა და სწავლებას. აგენტთან მუშაობა გულისხმობს მის სისტემატურ შესწავლასა და შემოწმებას.

აგენტთან მუშაობის „დაკონსერვება"	აგენტთან გარკვეული დროით კავშირის ყველა ფორმის შეწყვეტა იმის გამო, რომ მან დაკარგა ინფორმაციული თუ სხვა სადაზვერვო შესაძლებლობები, ან შეიქმნა მისი გაშიფვრისა და ჩავარდნის საფრთხე. კავშირი შეიძლება აღდგეს როგორც მუდმივი კავშირის ან სასწრაფო შეხვედრის პირობებით, ასევე ცენტრის მიერ სპეციალური შეტყობინებით, შეხვედრაზე გამოსვლის მითითების გამოგზავნის შემდეგ.
აგენტის აღზრდა	ითვალისწინებს აგენტზე მიზან-მიმართული, სისტემატური ზემოქმედების მოხდენას და მასში საიდუმლო თანამშრომლობის მოტივების გაღრმავების მორალური თვისებების ამაღლებისა და სადაზვერვო საქმიანობისთვის საჭირო სხვა თვისებების ფორმირების მიზნით, რაც ხელს უწყობს დაზვერვასთან მისი თანამშრომლობის ხარისხის ამაღლებას. აგენტის აღზრდაში გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა დარწმუნება, წახალისება, განსჯა, აგრეთვე მზვერავის პირადი მაგალითი.
აგენტის სწავლება	აგენტის შეიარაღება სპეციალური ცოდნითა და სადაზვერვო დავალებების შესრულებისთვის უნარ-ჩვევებით. აგენტის სწავლების ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული შემდეგი პრინციპების დაცვაზე: სისტემატურობა, თანმიმდევრულობა, მიზანდასახულობა, თვალსაჩინოება, საგნობრიობა და პრაქტიკულობა. სწავლება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის - ზეპირი თხრობით, მოქმედების ხერხების დემონსტრირებით, მოქმედების სხვადასხვა

ვარიანტების შერჩევით, სპეციალურ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით, სპეციალური უნარ-ჩვევების ფორმირებისათვის საჭირო ვარჯიშებით, წვრთნებით და ა. შ.

აგენტის ტაქტიკა

აგენტის ქცევის ფორმები და ხერხები, რომელთა გამოყენებითაც იგი წყვეტს სადაზვერვო ამოცანებს, ნიღბავს თავისი მოქმედების რეალურ მიზნებს, მოტივებს, ხასიათსა და მიმართულებებს.

აგენტის ტაქტიკა განისაზღვრება შესასრულებელი სადაზვერვო ამოცანის ხასიათით, გარემო პირობებით, მისი სოციალური სტატუსით, ოპერატიული შესაძლებლობებითა და ტექნიკური თუ სხვა საშუალებებით, რომლებიც გამოიყენება აგენტის მიერ დავალების შესრულების პროცესში.

აგენტის შემოწმება

აგენტის საიმედოობის შემოწმება მიზანმიმართული და აუცილებელი პროცესია. იგი ტარდება ოპერატიული შესაძლებლობებისა და მომზადების დონის, საიდუმლო თანამშრომლობისა და სხვა მოქმედებების რეალური მოტივების განსაზღვრის მიზნით.

აგენტის შუალობითი ჩანერგვა

წარმოადგენს აგენტის ჩანერგვის ერთ-ერთ წინასწარ შერჩეულ და მომზადებულ ხერხს, რაც ხორციელდება აგენტის შეყვანით სადაზვერვო დაინტერესების ობიექტზე ან მის გარემოცვაში სხვა აგენტის ან ნეიტრალური კავშირის საშუალებით.

აგენტის შუალობითი ჩანერგვა ორმხრივი გაშიფვრით	წარმოადგენს აგენტის შუალობითი ჩანერგვის ერთ-ერთ ხერხს – წინასწარ შერჩეული და მომზადებული აგენტის შეყვანას სადაზვერვო დაინტერესების ობიექტზე ან მის გარემოცვაში სხვა აგენტის საშუალებით, როცა ორივე აგენტი ერთმანეთთან გაშიფრულნი არიან.
აგენტის შუალობითი ჩანერგვა ფარულად	აგენტის შუალობითი ჩანერგვის ერთ-ერთი ხერხი – წინასწარ შერჩეული და მომზადებული აგენტის შეყვანა სადაზვერვო დაინტერესების ობიექტზე სხვა აგენტის ან ნეიტრალური კავშირის საშუალებით, ფარულად, აგენტების ერთმანეთთან გაშიფვრის გარეშე.
აგენტის შუალობითი ჩანერგვა ცალმხრივი გაშიფვრით	აგენტის შუალობითი ჩანერგვის ერთ-ერთი ხერხი – წინასწარ შერჩეული და მომზადებული აგენტის შეყვანა სადაზვერვო დაინტერესების ობიექტზე ან მის გარემოცვაში სხვა აგენტის საშუალებით, როცა მხოლოდ ერთისთვისაა ცნობილი დაზვერვასთან მეორის თანამშრომლობის შესახებ.
აგენტის ჩანერგვა	ოპერატიული შეღწევის ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც გულისხმობს წინასწარ შერჩეული და მომზადებული აგენტის შეყვანას სადაზვერვო დაინტერესების ობიექტზე ან მის გარემოცვაში სადაზვერვო ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. აგენტის ჩანერგვა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ ან შუალობით.
აგენტის ჩანერგვა უშუალოდ	აგენტის ჩანერგვის ერთ-ერთი ხერხია რომელიც გულისხმობს წინასწარ შერჩეული და მომზადებული აგენტის შეყვანას სადაზვერვო დაინტერესების ობიექტზე ან მის გარემოცვაში პირდაპირ, სხვა აგენტის ან ნეიტრალური კავშირის გამოყენების გარეშე.

აგენტურული კავშირი	აგენტთან მუშაობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. წარმოადგენს კავშირის სპეციალური სახეობების, ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს კონსპირაციას აგენტებთან მუშაობის პროცესში. აგენტურული კავშირის მიმართ წაყენებული მოთხოვნებია: უსაფრთხოება, დროულობა, საიმედოობა.
აგენტურული მონაცემები	აგენტურის მეშვეობით დაზვერვისათვის საინტერესო საკითხებზე მონაცემების მიღება.
აგენტურული ქსელი	მიზანმიმართულად შექმნილი აგენტურული ჯგუფების, ცალკეული აგენტების ერთობლიობა, რომლებსაც დაზვერვის ორგანოები ხელმძღვანელობენ კავშირის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.
აგენტურული შესაძლებლობები (აგენტურული წვდომა)	ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ აგენტის შესაძლებლობას, შეასრულოს კონკრეტული სადაზვერვო ამოცანა. ეს შესაძლებლობები განისაზღვრება: • სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობით; • სამუშაო ადგილით; • თანამდებობით; • განათლებით; • კვალიფიკაციით; • პიროვნული თვისებებით; • დაზვერვისათვის სასარგებლო ნათესაური, საქმიანი და სხვა კავშირებით; • დასაზვერ ობიექტებზე დაზვერვისათვის საინტერესო საიდუმლო დოკუმენტებთან წვდომის არსებობით.

აგენტურული შესწავლა	ოპერატიული ინფორმაციის წყაროების მეშვეობით ოპერატიული დაინტერესების ობიექტებზე (ოპერატიულ სამიზნეებზე) ინფორმაციის შეგროვება.
აგენტურული შეტყობინება	აგენტისაგან მიღებული წერილობითი ან ზეპირი ინფორმაცია.
აგენტურულ-ოპერატიული ვითარება	დაზვერვის დაინტერესების მიმართულებით არსებული მდგომარეობის, მისი შესწავლის ძალების, საშუალებებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების ერთობლიობა. მისი ძირითადი ელემენტებია: • პოლიტიკური სიტუაცია; • სოციალურ-ეკონომიკური ვითარება; • სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი; • კონტრსადაზვერვო რეჟიმი; • დაზვერვის დაინტერესების სფეროები და ობიექტები; • მოსახლეობის რელიგიური და ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებები; • კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები. აგენტურულ-ოპერატიული ვითარების ყველა ელემენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ავსებს ერთმანეთს და გავლენას ახდენს დაზვერვის საქმიანობაზე.
ამოსაცნობი ნიშნები	წინასწარ შეთანხმებული, დამახასიათებელი ბუნებრივი ნიშნები, რომელთა მეშვეობით მზვერავი ამოიცნობს აგენტს პირად კონტაქტში შესვლამდე. ამოსაცნობ ნიშნად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა საგანი და აქსესუარი, აგენტის სიტყვიერი პორტრეტი, ჩაცმულობა (შარფი, ხელჩანთა, ჟურნალი, გაზეთი და ა.შ.), რომელიც არ უნდა იქცევდეს გარემოცვის ყურადღებას.

ანალიზი	დაზვერვის პირველადი მონაცემებისა და ყველა სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის შეჯერების, კვლევისა და შეფასების პროცესი. ამ პროცესში შეკრებილი მასალები გარდაიქმნება სადაზვერვო ინფორმაციად – სადაზვერვო პროდუქტად.
ანალიზის საგანი	ანალიზის საგანს წარმოადგენს: • ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში, რეგიონებში, ცალკეულ ქვეყნებში, სამხედრო მოქმედებების თეატრებზე, სახელმწიფო საზღვრებზე; • პოლიტიკის სუბიექტების სტრატეგიული პოლიტიკური კონცეფციები, დოქტრინები, პროგრამები და მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, დაზვერვითი გეგმები და ინტერესები; • სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციის, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღები და სპეცსამსახურების საქმიანობის პრიორიტეტების განმსაზღვრელი ორგანიზაციული სტრუქტურების მდგომარეობა; • ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შიდა და გარე ფაქტორები; • სახელმწიფოს დაზვერვის სისტემის სტრუქტურა და მდგომარეობა; • კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ოპერატიული მოქმედებები; • პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების, მისი ცალკეული ელემენტების ცვლილებებისა და განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები; • პოლიტიკური სუბიექტების ქმედებების შესაბამისობა პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების პროგნოზთან.

ანალიტიკური სამსახური	ერთ-ერთი ძირითადი დანაყოფი სადაზვერვო სამსახურის სტრუქტურაში, რომელიც დაკავებულია მოპოვებული ინფორმაციის ანალიზითა და სადაზვერვო პროდუქტის შექმნით.
ანალიტიკური სამსახურის საშუალებები	მასში იგულისხმება: • ღია ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები; • მონაცემთა ბაზები; • ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და გადაცემის ტექნიკური და ელექტრონული სისტემები.
ანალიტიკური საქმიანობის განხორციელების ძირითადი პრინციპები	მასში იგულისხმება: • მიზნის დასახვა და/ან განსაზღვრა; • ტერმინების განმარტება; • არსებული წყაროების მაქსიმალურად გამოყენება; • ფაქტების მნიშვნელობის შეფასება (გამოაშკარავება); • ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა; • მოსახლეობის ეროვნული ნიშან-თვისებების გათვალისწინება; • განვითარების ტენდენციების განსაზღ-ვრა; • ინფორმაციის სანდოობის ხარისხის დადგენა; • დასკვნების გაკეთება.
ანალიტიკური საქმიანობის შინაარსი	გაბნეული მონაცემების ლოგიკურად დასა-ბუთებულ დამოკიდებულებათა (მიზეზ-შედეგობრივ, დროით-სივრცულ და სხვა) სისტემაში მოყვანა. ანალიტიკური საქმიანობა ხორციელდება დაგროვებული პრობლემების აქტუალობისა და მნიშვნელობის შესაბამისად.

ანალიტიკური ცნობა	იწერება ამა თუ იმ საინტერესო საკითხზე საჭირო ოდენობის ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. როდესაც ანალიტიკოსი ფლობს საკმაო ინფორმაციას და, ამასთან, ეს მასალა ინფორმაციულად უკვე ნაცნობია ადრესატისათვის, აღარაა საჭირო მისი დეტალიზება და უკვე შესაძლებელია სრულყოფილი ანალიზი.
<u>არაკლასიფიცირებული მასალები / დოკუმენტები</u>	მასალები და დოკუმენტები, რომელთა გავრცელებაზე სახელმწიფოს მხრიდან არაა დაწესებული შეზღუდვები, მაგრამ შესაძლოა შეიცავდეს დაზვერვისთვის საინტერესო ინფორმაციას.
არალეგალი	მზვერავი ან საიდუმლო თანამშრომელი, რომელიც ცხოვრობს ამა თუ იმ ქვეყანაში სხვისი მონაცემებით და შესაბამისი ფიქტიური დოკუმენტებით.
არალეგალის სალეგალიზაციო საფარი	საქმიანობა, რომელიც ამართლებს არალეგალის დასაზვერი ქვეყნის განსაზღვრულ რეგიონში ცხოვრებას და ასრულებს ძირითადი საარსებო (ფინანსური) წყაროს ფუნქციას.
არალეგალის ლეგალიზაცია	მზვერავის მიერ დასაზვერ ქვეყანაში ყოფნისა და ლეგალური მოღვაწეობის ფორმალურ-კანონიერი უფლების მოპოვება. ძირითადი და შუალედური ლეგალიზაცია ხორციელდება ორი ფორმით: • დასაზვერი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების სახით; • სასურველი უცხოელის სტატუსის სახით. ლეგალიზაციის ელემენტებია: არალეგალის სალეგალიზაციო საფარი; არალეგალის სალეგალიზაციო სპეციალობა; არალეგალის ლეგენდა და არალეგალის სალეგალიზაციო დოკუმენტები.

ძირითადი ლეგალიზაცია ხორციელდება უშუალოდ დასაზვერ ქვეყანაში.
შუალედური ლეგალიზაცია ეწოდება მზვერავის მიერ თავდაპირველად რომელიმე სხვა ქვეყანაში (ან ქვეყნებში) განსახორციელებელ ლეგალიზაციას დასაზვერ ქვეყანაში შეღწევის პირობების შექმნისა და შემდეგ ძირითადი სალეგალიზაციო სამუშაოს იქ ჩატარების მიზნით.

შუალედური ლეგალიზაციის საჭიროების ძირითად აუცილებლობას წარმოადგენს:

- იმ ეროვნული ენის ცოდნის სრულყოფა, რომელი ენის წარმომადგენლადაც ასაღებს თავს მზვერავი;
- სპეციალობის მისაღებად აუცილებელი სტაჟირება, რომლითაც იგი იმუშავებს ლეგენდის შესაბამისად ;
- დასაზვერ ქვეყანაში უშუალო შეღწევის შეუძლებლობა და, შესაბამისად, იმ დოკუმენტების მოპოვების აუცილებლობა, რომელთა მეშვეობითაც მოხდება დასაზვერ ქვეყანაში შეღწევა.

არალეგალის ლეგენდა

მზვერავის გამოგონილი ბიოგრაფია – სპეციალურად შემუშავებული და შესაბამისი დოკუმენტებით გამყარებული აღწერა იმ რეალურად არსებული თუ გამოგონილი პირის წარსული და აწმყო ცხოვრებისა, რომლის როლშიც მზვერავი გვევლინება.

ლეგენდა – ბიოგრაფია უნდა იყოს:

- დამაჯერებელი და რეალობასთან შეძლებისდაგვარად მიახლოებული;
- მარტივი, ლოგიკური და ადვილად დასამახსოვრებელი;
- შეესაბამებოდეს მზვერავის პირად თვისებებს, მის სტატუსსა და აგენტურულ-ოპერატიული ვითარების

	თავისებურებებს; • ლეგენდა-ბიოგრაფიაში მითითებული მონაცემები შეძლებისდაგვარად უნდა ემყარებოდეს რეალური ცხოვრების ფაქტებს, მოვლენებს და მათი შემოწმების შემთხვევაში დასტურდებოდეს; • ლეგენდაში შეტანილი გამოგონილი მონაცემები ძნელად შემოწმებადი უნდა იყოს.
არალეგალის ნამდვილი დოკუმენტები	საბუთები, რომლებიც გაცემული და გაფორმებულია შესაბამისი ქვეყნების ოფიციალური ორგანოების მიერ. ისინი შეიძლება მოპოვებულ იქნას როგორც თავად მზვერავის, ისე სანდო აგენტურის მეშვეობით დასაზვერ ქვეყანაში. ნამდვილმა დოკუმენტებმა უნდა გაუძლოს კონტრდაზვერვის შემოწმებას.
არალეგალის ნატურალიზაცია	პიროვნებისათვის ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობის ან ქვეშევრდომობის მინიჭება მისივე თხოვნის საფუძველზე (მაგალითად, მოცემულ ქვეყანაში ხანგრძლივი ყოფნის, ადგილობრივ მოქალაქესთან ქორწინების და ა.შ. შემთხვევაში).
არალეგალის სათადარიგო ლეგენდა	მუშავდება არალეგალის ძირითადი ლეგენდის კომპრომეტაციის, დასაზვერი ქვეყნის ხელისუფლების ორგანოების მიერ მისი უსაფუძვლობის გამომჟღავნების შემთხვევისათვის. სათადარიგო ლეგენდის მიზანია დაფაროს პიროვნების კავშირი უცხო ქვეყნის დაზვერვასთან და ახსნას მისი მოქმედებები, რომლებმაც იგი მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევამდე მიიყვანა.
არალეგალის სალეგალიზაციო	საბუთები, რომლებიც გააჩნია მზვერავს მისი პიროვნების დასადასტურებლად და

დოკუმენტები

მას ფორმალურ-კანონიერ უფლებას აძლევს იცხოვროს და იმუშაოს მოცემულ ქვეყანაში. მნიშვნელობის მიხედვით ისინი იყოფა ძირითად და დამხმარე დოკუმენტებად.

ძირითად დოკუმენტებს მიეკუთვნება ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მფლობელის პიროვნებას, მის მოქალა-ქეობას, ქვეშევრდომობას (საზღვარგარეთის და შიდასახელმწიფო პასპორტები, პირადობის მოწმობა, სამხედრო ბილეთი).

დამხმარე დოკუმენტებს მიეკუთვნება ის დოკუმენტები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ადასტურებენ მზვერავის ლეგენდა-ბიოგრაფიაში მოყვანილ ცალკეულ ფაქტებს, მის საზოგადოებრივ და ფინანსურ მდგომარეობას, განათლებას, პროფესიას, სამუშაო ადგილებს (ცნობა პოლიტიკური საიმედოობის, სამხედრო სამსახურის გავლის, ჯანმრთელობის, აცრების შესახებ, მართვის მოწმობა, ქორწინების ან განქორწინების მოწმობა, ჩეკის წიგნაკები, გადასახადების გადახდის ცნობა, აკრედიტივები, სავიზიტო ბარათები, ფოტოსურათები, წერილები, სარეკომენდაციო წერილები და ა.შ).

საიმედოობის ხარისხის მიხედვით სალეგალიზაციო დოკუმენტები შეიძლება იყოს ნამდვილი და ყალბი.

არალეგალის სალეგალიზაციო სპეციალობა

მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია მზვერავისათვის გარკვეული სახის პროფესიული მოღვაწეობის განსახორციე-ლებლად, დასაზვერ ქვეყანაში შექმნილი ან შერჩეული სალეგალიზაციო საფარის ფარგლებში.

არალეგალის ყალბი დოკუმენტები	მთლიანად ან ნაწილობრივ სადაზვერვო ცენტრში დამზადებული საბუთები (მაგალითად, ფოტოსურათის შეცვლა, დაბადების თარიღის გადაკეთება და სხვა).
არალეგალის ძირითადი ლეგენდა	მზვერავისთვის შემუშავებული ბიოგრაფია, რომელიც ადასტურებს მის პიროვნებასა და მოღვაწეობას ლეგალიზაციის არჩეული სახისა და ფორმის შესატყვისად. იგი მზვერავის მიერ გამოიყენება დასაზვერ ქვეყანაში ყოფნისას ყველა შემთხვევაში, როცა საჭიროება მოითხოვს საკუთარი პიროვნების დადასტურებას. ის მუშავდება არალეგალის სალეგალიზაციო დოკუ-მენტების შესაბამისად, რომელთაც მზვერავი გამოიყენებს ქვეყანაში ლეგალიზებისას. ლეგენდა-ბიოგრაფია უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე, მარტივი, სინამდვილესთან მიახლოებული. იგი არ უნდა გადაიტვირთოს უმნიშვნელო მონაცემებით, რომლებიც გაამნელებს მის დამახსოვრებასა და გამოყენებას.
აქტიური ღონისძიებები	დაზვერვის განსაზღვრული მოქმედებები, რომელთა მიზანია ფაქტობრივი ან პოტენციური მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა თავისი ჭეშმარიტი განზრახვების ან შესაძლებლობების თაობაზე. ისინი გამოიყენება აგრეთვე მომგებიანი, სხვა საშუალებებით პრაქტიკულად მიუღწეველი რეაქციის გამოსაწვევად ,,ზეგავლენის ობიექტის'' მხრიდან. აქტიური ღონისძიებე-ბის სახესხვაობები უამრავია და ყოველი მათგანი – ზესაიდუმლო. დასავლური ქვეყნების სადაზვერვო პრაქტიკაში გამოიყენება ტერმინი ,,ფარული

საქმიანობა'', ,,სპეციალური პოლიტიკური ქმედება'' და ა.შ.

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების კანონის მიხედვით, ეს საქმიანობა განისაზღვრება როგორც ,,შეერთებული შტატების მთავრობის საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს საზღვარგარეთ არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენას იმ პირობით, რომ ამ საქმეში არ იქნება გამოაშკარავებული ან საჯაროდ აღიარებული შეერთებული შტატების ხელისუფლების მონაწილეობა''. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფარული საქმიანობის შედეგად მიიღწევა აშშ-ს ხელისუფლების კონკრეტული პოლიტიკური მიზანი. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება დაინტერესების სახელმწიფოს პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, საზოგადო მოღვაწეებზე, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტაზე ან მის ნაწილზე, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე, ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკაზე ან საქმიანობის სხვა სფეროებზე ფარული ზეგავლენის მოხდენა იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საფრთხეების აცილების მიზნით სხვა, მათ შორის, დიპლომატიური და სამხედრო საშუალებები უშედეგოა.

განიხილავენ აქტიური ღონისძიებების (ფარული საქმიანობის) სხვადასხვა მეთოდებს. მათ შორის აღსანიშნავია:

- პროპაგანდა (ასევე, დეზინფორმაცია);
- პოლიტიკური საქმიანობა;
- ეკონომიკური საქმიანობა;
- სახელმწიფო გადატრიალება;
- ნახევრად საომარი მოქმედებები;

- ბრძოლაში საიდუმლო მონაწილეობა;
- პოლიტიკური მკვლელობა.

მათი განხორციელება დაკავშირებულია სერიოზულ პოლიტიკურ რისკთან, დიდ მატერიალურ, ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსებთან. ფარული ოპერაციები ტარდება ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების სანქციით.

ბ

,,ბროკაუს ხაფანგი"
(Brokaw hazard)

ტყუილის ვერიფიცირების დროს შეცდომის დაშვების მიზეზი. პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებების გაუთვალისწინებლობის გამო, შეიძლება ტყუილის გამოვლინებად შეფასდეს კონკრეტული პიროვნებისათვის დამახასიათებელი საუბრის ან ქცევის მანერა.

მაგალითად, საუბრის დროს პირდაპირი პასუხებისაგან თავის არიდებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა იმის გამო, რომ პიროვნება ტყუის, არამედ იმიტომ, რომ მას საუბრის ასეთი მანერა ზოგადად ახასიათებს.

ამრიგად, თუ ვერიფიკატორი არ იცნობს ტყუილში ეჭვმიტანილის საუბრის და ქცევების ინდივიდუალურ მანერას, მას ,,ბროკაუს ხაფანგში'' მოხვედრის დიდი შანსი აქვს. (ბროკაუ - პოპულარული ამერიკელი შოუმენი, რომელმაც მეტად ცალმხრივად აღწერა ტყუილის ნიშნები).

გ

გადასატანი სამალავები

საიდუმლო ადგილები გადასატან ნივთებში, რომლებიც გამოიყენება აგენტურული მასალების ფარული ტრანსპორტირებისა და გადაცემისათვის (აგრეთვე შენახვისათვის). ისინი ეწყობა მზვერავის ან აგენტის პირად ნივთებში (ძვირფასეულობაში, ხელჩანთებში, ფანქრებში, სანთებელებში და ა.შ.), რომელთა ქონაც ეჭვს არ გამოიწვევს.

გადმობირება

ოპერატიულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პირის თანხმობის მიღებას დაზვერვასთან საიდუმლო თანამშრომლობაზე.

გადმობირება მორალურ-ფსიქოლოგიურ საფუძველზე

ობიექტურად არსებული ან დაზვერვის მიერ შექმნილი გარემოებების გამოყენებით, გადმოსაბირებელი პირისათვის ისეთი მოტივაციის ჩამოყალიბება, რომელიც მას დაარწმუნებს, დათანხმდეს საიდუმლო თანამშრომ-ლობაზე მისი პირადი კეთილდღეობის-თვის საფრთხის თავიდან აცილების სანაცვლოდ. გადმობირების ეს საფუძველი დაზვერვის მიერ გამოიყენება უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, როგორც წესი, სხვა საფუძვლებთან სინთეზში.

გადმობირება უცხო დროშის ქვეშ

გადმობირების ისეთი ფორმა, როდესაც გადმობირება ხორციელდება მესამე ქვეყნის ან სხვა ორგანიზაციის სახელით.

გადმობირების განმტკიცება

გადმობირების პროცესში იმის გარანტიების შექმნა, რომ გადმობირებულმა აგენტმა კეთილსინდისიერად შეასრულოს საიდუმ-ლო თანამშრომლობის პირობები.
სადაზვერვო პრაქტიკაში გადმობირების განმტკიცებისათვის გამოიყენება

	სხვადასხვა ფორმები, მათ შორის წერილობითი სადაზვერვო ინფორმაციის ან კონფიდენციალური დოკუმენტების მიღება, შეხვედრის ფაქტის და მისი მსვლელობის ფოტო-ვიდეო-აუდიო საშუალებებით დაფიქსირება, საიდუმლო თანამშრომლობაზე წერილობითი თანხმობის გაფორმება, ფულის ან სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემის დოკუმენტირება და ა.შ.
გადმობირების კანდიდატი	პირი, რომლის შემოწმება და შესწავლა იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ იგი ფლობს რეალურ ან პოტენციურ სადაზვერვო შესაძლებლობებს (წვდომას), გამოირჩევა საიმედოობის საკმარისი ხარისხით და არსებობს მისი ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობაში ჩაბმის რეალური საფუძვლები (მოტივაცია).
გადმობირების მეთოდები	იმ ხერხების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც ხორციელდება გადმობირების კანდიდატზე ზემოქმედება მისგან ფარულ თანამშრომლობაზე თანხმობის მისაღებად. განიხილავენ გადმობირების ორ ძირითად მეთოდს: დარწმუნებას და იძულებას.
გადმობირების მოტივი	გადმობირების კანდიდატის იდეურ – პოლიტიკური, მატერიალური, ან მორალურ – ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები, რომლებიც შეიძლება დაიკმაყოფილოს დაზვერვასთან თანამშრომლობის გზით.
გადმობირების საფუძვლები	წინაპირობები, რომლებიც გადმოსაბირებელ პირს უქმნიან დაზვერვასთან საიდუმლო თანამშრომლობის მოტივაციას. ერთმანეთისაგან განასხვავებენ გადმობირების პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, მატერიალური ან სხვა სახის დაინტერე-

	სებისა და მორალურ-ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. გადმობირებისას შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებულ იქნეს როგორც ერთი, ასევე ორი ან სამივე საფუძველი.
გადმობირების ფორმები	გადმობირების პროცესის ორგანიზაციული მხარე, გადმობირების ღონისძიებათა ჩატარების წესი და თანმიმდევრობა. გადმობირების ფორმებია: მყისიერი (ერთდროული), თანდათანობითი, პირდაპირი გადმობირება, აგრეთვე გადმობირება უცხო დროშის ქვეშ.
გადმოსაბირებელი ბაზა	იმ პირთა კატეგორია, რომელთა შორის შესაძლებელია გადმობირებისათვის პერსპექტიული კანდიდატების გამოვლენა.
გადმოსაბირებელი მუშაობა	დაზვერვის საქმიანობა, რომელიც მიმართულია აგენტურული ქსელის შექმნაზე, გაფართოებასა და განახლებაზე ინფორმაციის წყაროთა გადმობირების გზით.
გავრცელება	ინფორმაციის ან სადაზვერვო მონაცემების შესაბამისი ფორმითა და ხელსაყრელი საშუალებებით დროული დაგზავნა ადრესატებისათვის.
გარემეთვალყურეობა	ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია სპეცსამსახურების ოპერატიული დაინტერესების ობიექტებზე უშუალო, ფარული ვიზუალური დაკვირვება (თვალთვალი). საგარეო დაზვერვის მიერ გარემეთვალყურეობა გამოიყენება ოპერატიული სამიზნეების შესწავლისა და შემოწმების პროცესში, მათი ქცევებისა და მოქმედებების, პირადი კავშირების გამოვლენის, სხვა ვიზუალური გამოვლინებების ფიქსაციის, აგრეთვე სადაზვერვო

ოპერაციების განხორციელების უსაფ-
რთხოების უზრუნველყოფის მიზნით. გარემეთვალყურეობას იყენებენ საგარეო კონტრდაზვერვით ღონისძიებებში, აგრეთვე საგარეო დაზვერვის კომპეტენციიდან გამომდინარე, სხვა შემთხვევებში - როცა საქმე ეხება საზღვარგარეთის პირობებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების, მათი თანამშრომლების ან საქართველოს სხვა მოქალაქეების უსაფრთხოებას. კონტრდაზვერვისა და სხვა სპეციალური სამსახურების მიერ გარემეთვალყურეობა გამოიყენება უპირატესად ოპერატიულ-
სამძებრო მიზნებისათვის, ჯაშუშობის, ტერორიზმისა და მათ კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

გარემეთვალყურეობის ღონისძიებები ხორციელდება ოპერატიულ-ტექნიკური, თვალთვალისა და შენიღბვის სხვა სპეცია-
ლური საშუალებებით აღჭურვილი სპეცია-
ლური დანაყოფების მიერ, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ არსებულ აგენტურულ აპარატს (გარემეთვალყურეობის აგენტებს).

განსაკუთრებული კავშირი

საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი (აპატრიდი), რომელსაც გააჩნია სამსახურისათვის საინტერესო სადაზვერვო (საინფორმაციო ან ოპერატიული) შესაძლებლობები და რომელთანაც პირად ურთიერთობებს სამსახურის მოსამსახურე იყენებს დაზვერვის ინტერესებში.

გარემეთვალყურეობის აგენტი

აგენტი, რომელიც გამოიყენება სადაზვერვო დაინტერესების ობიექტებზე ფარული ვი-

	ზუალური თვალთვალის განხორციელების მიზნით.
გარემეთვალყურეობის საგუშაგო	სპეციალურად შერჩეული ადგილი (საცხოვრებელი კომპლექსი, ორგანიზაცია-დაწესებულება, გართობისა და თავშეყრის ადგილები), სადაც განლაგებულნი არიან გარემეთვალყურეობის თანამშრომლები და ახორციელებენ თვალთვალს.
გეგმა (საინფორმაციო ანალიტიკური დოკუმენტის მომზადების შესახებ)	საორგანიზაციო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ანალიზის ეტაპების თანამიმდევრობას და კონკრეტიზებულია საბოლოო დოკუმენტის მომზადების ფორმისა და ვადების მიხედვით.

დ

დაზვერვის შტატგარეშე მოსამსახურე	დაზვერვის შტატში არმყოფი მოსამსახურე, რომელსაც სამსახური გამოიყენებს დაზვერვის ოფიცრის ზოგიერთი ფუნქციის ან ცალკეული დავალებების შესასრულებლად. როგორც წესი, ის არის დაზვერვის ან რომელიმე სხვა სპეცსამსახურის ყოფილი მოსამსახურე (პენსიონერი), რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.
დაკარგვის ადგილი	უსაფრთხოების მარშრუტის ბოლო მონაკვეთი (მეტროს სადგური, სავაჭრო ცენტრი, ბაზრობა, მიწისქვეშა გადასასვლელი და სხვა ხალხმრავალი ადგილები), სადაც დაზვერვის ოფიცერი თავს აღწევს გარემეთვალყურეობას.
დაკვირვების ადგილი	ადგილი, საიდანაც ხორციელდება კონტრთვალთვალი.
დარწმუნება	გადმობირების მეთოდი. იგი ითვალისწინებს გადმოსაბირებელი პირის შეხედულებებისა და წარმოდგენების სასურველი მიმართულებით კორექტირებას და, ამის საფუძველზე, მისთვის დაზვერვასთან საიდუმლო თანამშრომლობის პოზიტიური მოტივების აღძვრასა და განმტკიცებას.
დარწმუნების პირდაპირი გზა	დარწმუნების ფორმა, როდესაც გამოყენებულია ლოგიკური არგუმენტები.
დარწმუნების ირიბი გზა	დარწმუნების ფორმა, რომლის დროსაც ინფორმაცია, რომელიც სასურველია შეისმინოს ობიექტმა, ასოცირდება მისთვის რაიმე სასურველ მიზნებთან.
დასკვნითი სადაზვერვო ინფორმაციის მიღება	ხორციელდება: • სადაზვერვო შეფასებების გამომუშავებით;

- კომპლექსური დასკვნითი ინფორმაციის გამოყვანით;
- პროგნოზული ინფორმაციის გამო-მუშავებით.

დასკვნითი სადაზვერვო ინფორმაციის მიღების მეთოდები	ანალიტიკური საქმიანობის მეთოდების სისტემა, რომელშიც შედის კვლევის ლოგიკური, რაოდენობრივი, მოდელირე-ბის, ისტორიული და სხვა სახის მეთოდები.
დოსიე	დოკუმენტების, მასალების ერთობლიობა, რომელიც ეხება დაზვერვის დაინტერესების ობიექტს. ასევე გულისხმობს საქმეს, საქაღალდეს მსგავსი მასალებით.

ეროვნული სადაზვერვო პროგრამა

საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო დოკუ-მენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს დაზვერვის სისტემისთვის სადაზვერვო საქმიანობის ძირითად მიზნებს, სფეროებს, მიმართულებებს და პრიორიტეტებს.

ვირტუალური დაზვერვა	ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული დონის სინთეზირებული (შეჯერებული) სადაზვერვო ინფორმაციის წარმოების ორგანიზაცია.
ვირტუალური ინფორმაციული სივრცე	განსაკუთრებული გარემო (სტრუქტურა), რომელიც აერთიანებს დაზვერვის არა მატერიალურ ობიექტებს, არამედ მათ შემცველ ინფორმაციულ გამოსახულებებს, დაფიქსირებულთ ღია და დახურულ ინფორმაციულ მასივებში, მათკენ მიმავალ სატელეკომუნიკაციო ხაზებს, ინფორმაციის მოძიების, დაცვითი მიჯნების გადალახვის, მიღებული ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებს.
«ვიტრინა»	გარემეთვალყურეობის პროცესში ობიექტის საუბრების წინასწარ დაგეგმილი ფარული აუდიოკონტროლი, როდესაც ცნობილია ობიექტისა და მისი კავშირის შეხვედრის ადგილი (პარკი, სკვერი, პლაჟი, კემპინგი, ტყე და თავშეყრის სხვა ადგილები).

თ

«თანამგზავრი»	გარემეთვალყურეობის პროცესში ფარული აუდიოკონტროლის აპარატურის ჩამონტაჟება ობიექტის ტანსაცმელში, ფეხსაცმელში, ქუდში, ჩანთაში და სხვა აქსესუარებში.
«თანამგზავრი ა»	გარემეთვალყურეობის პროცესში ფარული აუდიოკონტროლის აპარატურის ჩამონტაჟება ობიექტის კავშირის ტანსაცმელში, ფეხსაცმელში, ქუდში, ჩანთაში და სხვა აქსესუარებში.
«თხუნელა»	მოწინააღმდეგის სპეცსამსახურებისა თუ სხვა სახელწიფო სტრუქტურების კადრის თანამშრომელთა შორის შეძენილი ან ამ სტრუქტურებში ჩანერგილი დაზვერვის აგენტი.

ი

ინიციატორი (მოხალისე)	პირი, რომელმაც მზვერავთან კონტაქტი დაამყარა და საკუთარი ინიციატივით შესთავაზა მას თანამშრომლობა. მათთან ურთიერთობა დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან, ამიტომ უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია პიროვნებისა და მოწოდებული ინფორმაციის საფუძვლიანი შესწავლა და შემოწმება/გადამოწმება.
ინფორმაცია	შეტყობინება, ცნობა ვინმეს მოღვაწეობის, რაიმე მდგომარეობის, მომხდარი ამბის და სხვ. შესახებ.
ინფორმაციის გამოტყუების თემატური რეგულირების ხერხი - მოსაზღვრე თემის წამოწევა	მოსაუბრისათვის ე.წ. ,,მოსაზღვრე" თემის შეთავაზება, რომელიც ასოციაციურად დაკავშირებულია ოპერატიული თვალსაზ-რისით საინტერესო თემებსა და საკითხებთან.
ინფორმაციის გამოტყუების თვალსაჩინო საგნების დემონსტრირების ხერხი	საჭირო ასოციაციების აღძვრა ობიექტის ცნობიერებაში მისთვის კონკრეტული საგნების დემონსტრირების მეშვეობით. თვალსაჩინო საგნებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც აგენტის პირადი ნივთები (წიგნები, ტანსაცმელი და ა.შ.), ისე ნივთები, რომლებიც თავად ობიექტის ან მისი ახლობლების კუთვნილებაა, სხვა ხელმისაწვდომი ნივთები (მაგალითად, სამუზეუმო ექსპონატები, მანქანის დეტალები, ტექნიკური საშუალებები და ა.შ.).

ინფორმაციის გამოტყუების ემოციების სტიმულირების ხერხი («აგდება», გრძნობებზე თამაში)	ინდივიდის გრძნობებზე, ხასიათობრივ თავისებურებებზე და სხვა თვისებებზე მიზანმიმართული ზემოქმედება. გამოტ-ყუების პროცესში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება სწორედ პატივმოყვარეობასა და ღირსების გრძნობაზე თამაში.
ინფორმაციის გამოტყუების ემოციურ-ნებითი ხერხი (ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი)	ფსიქოლოგიურად მწვავე სიტუაციის შექმნა, რომელიც უჩვეულოა ობიექტისათვის. სახელდობრ, მან უნდა დაინახოს რეალური საფრთხე და, აქედან გამომდინარე, თავისი ქმედებებით, გამონათქვამებითა და რეაქციებით გამოააშკარავოს საკუთარი თავი.
ინფორმაციის გამოტყუების ქმედით-ანალიზური ხერხი	ისეთი სიტუაციის/გარემოს შექმნა, სადაც შესაძლებელია გამოვლინდეს ის უნარ-ჩვევები, ცოდნა, რომელთა დაფარვასაც ობიექტი ცდილობს.
ინფორმაციის მატერიალური მატარებელი	გარკვეული ფიზიკური თვისებების მასალა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ინფორმაციის ჩასაწერად და შესანახად.
ინფორმაციული დაპირისპირება (ომი)	მოწინააღმდეგის სახელმწიფო და სამხედრო მართვის სისტემებზე, მის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანე-ლობაზე, ასევე მის კომპიუტერულ და საინფორმაციო ქსელებზე კომპლექსური ზემოქმედება. დესტრუქციული ზემოქმე-დება სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკური მართვისა და გადაწყვეტი-ლებების მიღების სისტემებზე მიიღწევა ფსიქოლოგიური ოპერაციების განხორ-ციელებით, რომლებიც მიმართულია გადაწყვეტილებების მიმღები პირების წინააღმდეგ და გავლენას ახდენს მათ მორალურ მდგრადობაზე, ემოციებზე და გადაწყვეტილებების მიღების მოტივებზე; ასევე, სტრატეგიული და ოპერატიული

	შენიღბვის, დეზინფორმაციის და სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის ობიექტების გასანადგურებლად ჩატარებული კონკრეტული ღონისძიებებით.
ინფორმაციული იარაღი	ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომელიც იძლევა საშუალებას: 1.მიზანმიმართულად შეიცვალოს, კოპირებულ იქნას, დაიბლოკოს ინფორმაცია; 2.გადაილახოს დაცვის სისტემები; 3.შეიზღუდოს კანონიერი მომხმარებლის კომპიუტერულ ან ინფორმაციულ ქსელში შეღწევა; 4.განხორციელდეს დეზინფორმაცია და ტექნიკური საშუალებების, კომპიუტერული სისტემებისა და ინფორმაციული ქსელების მუშაობის დეზორგანიზაცია.
ინფორმაციული ოპერაციები	ინფორმაციით მანიპულირების კომპლექსური ღონისძიებები, მიმართული მოწინააღმდეგის ინფორმაციულ პროცესებსა და სისტემებზე ზემოქმედების მოსახდენად ინფორმაციული (და არა მხოლოდ ინფორმაციული) უპირატესობის მოპოვებისა და/ან შენარჩუნების მიზნით.
ინფორმაციული უპირატესობა	სიტუაციის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის შეგროვების, გადამუშავებისა და განაწილების უნარი და, ამავდროულად, მოწინააღმდეგისთვის იმავეს გაკეთებაში ხელის შეშლა. ასეთი უპირატესობა იძლევა სამხედრო ვითარების შესახებ რეალური წარმოდგენის მიღების საშუალებას და ასახავს მოწინააღმდეგისა და საკუთარი ჯარების მოქმედების ინტერაქტიულ და ზედმიწევნით ზუსტ სურათს დროის რეალურ მასშტაბში.

იძულება	გადმობირების მეთოდი. გამოიყენება უპირატესად მორალურ-ფსიქოლოგიურ საფუძველზე გადმობირების დროს. იძულება არ გულისხმობს გადმოსაბი-რებელ პირზე ფიზიკურ ან პირდაპირ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, მაგრამ აყენებს პირს არჩევანის წინაშე – დათანხმდეს დაზვერვასთან თანამშრომლობაზე პირადი კეთილდღეობის ან უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

კავშირი გადასაცემი პუნქტის მეშვეობით	გამოიყენება მზვერავის მიერ აგენტისთვის (და პირიქით) მასალების გადასაცემად, პირადი კონტაქტის გარეშე.
კავშირი კონსპირაციული ბინის მეშვეობით	ხორციელდება სპეციალურად შერჩეულ და მოწყობილ ბინაში, რომელსაც დაზვერვა იყენებს თავისი ამოცანების გადასაწყვეტად.
კავშირი კონსპირაციული მისამართის მეშვეობით	მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ აგენტი გზავნის თავის შეტყობინებას კონსპი-რაციულ მისამართზე, რომლის პატრონიც იღებს ამ მასალებს და დანიშნულებისამებრ გადასცემს სამსახურს.
კავშირი კონსპირაციული ტელეფონის მეშვეობით	ტელეფონის მფლობელი მზვერავის ან აგენტისაგან იღებს კოდირებულ ინფორმაციას, რომლის ნამდვილი შინაარსი მან არ იცის და პირადი კავშირის ან უპიროვნო კავშირის მეშვეობით გადასცემს მას დანიშნულებისამებრ.
<u>კლასიფიცირებული მასალები / დოკუმენტები</u>	დაწესებულება-უწყებებში მომზადებული მასალები და დოკუმენტები, რომელთა გავრცელებაზე დაწესებულია სხვადასხვა დონის შეზღუდვები და დაცულია სახელმწიფოს მიერ (იხ. ტერმინი ,,სახელწიფო საიდუმლოება”).
კოდი	კრიპტოგრაფიის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შეტყობინების სიტყვებისა თუ ფრაზების მთლიანად შეცვლას სხვა სიტყვებით ან აღნიშვნებით.
კონსპირაცია	ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სადაზვერვო საქმიანობის საიდუმლოებას.

კონსპირაციული ბინა	გარეგნულად ჩვეულებრივი ბინა ან საცხოვრებელი სახლი, რომლის შენახვა ხდება დაზვერვის ხარჯებით და რომელსაც დაზვერვა იყენებს ოპერატიული მიზნებისთვის.
კონსპირაციული ინფორმაცია	დოკუმენტური ინფორმაცია, რომელთან დაშვება შეზღუდულია ეროვნული კანონმდებლობით.
კონტეინერი	სპეციალურად დამზადებული ან ბუნებრივად არსებული საგანი, რომელშიც თავსდება სადაზვერვო ინფორმაცია თუ სხვა მასალები აგენტის მიერ მზვერავისთვის (და პირიქით) გადასაცემად. ჩვეულებრივად, კონტეინერი შეიძლება იყოს ,,სატყორცნი'' (ქვები, ლითონის ან მინის ქილები, აგურის ნატეხები, ქაღალდის პაკეტები, ხის ან რკინის ღრუ საგნები და ა.შ.) და მაგნიტური, რომელიც მზადდება დამაგნიტებული რკინის ნაჭრებისაგან და აქვს სხვადასხვა ფორმა.
კონტრდაზვერვითი საქმიანობა	საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად "საქართველოს სპეციალური სამსახურების მიერ არასამართალდაცვითი მიზნები-სათვის განხორციელებული სპეციალური (ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური) ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედების გამოსავ-ლენად და თავიდან ასაცილებლად."
კონტრთვალთვალი (საგარეო დაზვერვაში)	სადაზვერვო ოპერაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უსაფრთხოების მარშრუტზე, განსაზღვრულ დროსა და

	ადგილზე, განხორციელებული კონტროლი (თვალთვალი) სადაზვერვო ოპერაციის ჩამტარებელ ოფიცერზე ან/და აგენტზე, მოწინააღმდეგის გარემეთვალყურეობის გამოვლენის მიზნით.
კონტროლიდან გამოსული აგენტი	აგენტი, რომელიც შეგნებულად თავს არიდებს საიდუმლო თანამშრომლობის ვალდებულებების შესრულებას, ან ღიად და/ან ფარულად მოქმედებს დაზვერვის ინტერესების საწინააღმდეგოდ.
კრიპტოგრაფია	პირობითი საიდუმლო ნიშნებით შეტყობინების ისეთი წერილობითი ფორმით შედგენა, რომ მისი შინაარსი გასაგები იყოს მხოლოდ შემდგენლისა და საბოლოო ადრესატისათვის.
კრიპტოგრამა	(კრიპტო – ბერძ. ფარული; გრაფია – წერა) პირობითი ნიშნებით საიდუმლო წერის ხერხი, რომლის შინაარსი ცნობილია მხოლოდ შემდგენლისა და ადრესატი-სათვის. გამოიყენება სადაზვერვო ინფორმაციის დასაშიფრად.

ლ

ლეგალური რეზიდენტი — დაზვერვის სამსახურის გამოცდილი თანამშრომელი, რომელიც ხელმძღვანელობს ლეგალურ რეზიდენტურას უცხო ქვეყანაში.

ლეგენდა (ოპერატიული) — სადაზვერვო საქმიანობაში კონსპირაციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოგონილი, შეთხზული ცნობები, მათ შორის მზვერავებისა და აგენტებისათვის გამოგონილი ბიოგრაფიები. ლეგენდირება გამოიყენება ასევე სადაზვერვო პუნქტების, კონსპირაციული ბინებისა და სხვა ობიექტების დაშიფვრის მიზნით.

ლეგენდა შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი და თვალსაჩინო.

ლიტერული საქმე

- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მასალების კონცენტრაციისა და სისტემატიზაციისთვის შექმნილი საქმე;
- სამსახურის საქმიანობის ინსპექტირებისა და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული მასალების კონცენტრაციისა და სისტემატიზაციისთვის შექმნილი საქმე.

მ

მარშრუტირება

ოპერატიულ საფარქვეშ მომუშავე მზვერავების ან ოპერატიული ინფორმაციის წყაროების ხანმოკლე ვადით მივლინება ლეგალური ან არალეგალური გზებით, კონკრეტული სადაზვერვო დავალების შესრულების მიზნით, წინასწარ შემუშავებული ლეგენდის გამოყენებით.
ამ მიზნებისათვის დაზვერვა აქტიურად იყენებს მესამე ქვეყნებში არსებულ ოპერატიული ინფორმაციის წყაროებს.

მეკავშირე

მზვერავი ან აგენტი, რომელიც უზრუნველ-ყოფს კავშირს სადაზვერვო ცენტრს ან რეზიდენტურასა და ცალკეულ აგენტს თუ აგენტურულ ჯგუფს შორის.

მიკროწერტილი (მიკროფოტოგრაფია)

რაიმე დოკუმენტის ან მასალის შემცირებული გამოსახულება, რომელიც იქმნება მიკროფოტოგრაფიის მეშვეობით და გამოიყენება ინფორმაციის კონსპირაციული გადაცემისათვის.

მინიშნება სამიზნეზე

მზვერავის მიერ სხვადასხვა წყაროდან (აგენტები, სანდო პირები, ოფიციალური კავშირები და ა.შ.) მოპოვებული პირველადი მონაცემები, რომელთა მიხედვითაც იგი აფასებს ამა თუ იმ პირის დაზვერვის ინტერესებისთვის გამოყენების პერსპექტიულობას.

მისადგომი გზები

არსებული ვითარებიდან გამომდინარე წარმოქმნილი ან სპეციალურად შექმნილი ლეგენდირებული შესაძლებლობები, რომ-ლებიც გამოიყენება სამიზნესთან (გადმობი-რების კანდიდატთან) პირადი კონტაქტის დასამყარებლად.

მკვდარი ზონა	ობიექტის გადაადგილების (უსაფრთ-ხოების) მარშრუტზე კონკრეტული მონაკვეთი ან ადგილი, სადაც თვალთვალის ობიექტი დროის მცირე პერიოდში ბუნებრივად რჩება გარემეთვალყურეობის კონტროლს მიღმა.
მომენტალური გადაცემა	ფარული კავშირის ფორმა. უზრუნველყოფს მასალების მყისიერ გადაცემას.
მორიგი შეხვედრა	წინასწარ შეთანხმებულ ადგილსა და დროს განხორციელებული კონტაქტი, რომელიც დგება მზვერავსა და აგენტს შორის მიმდინარე გეგმიური მუშაობის პროცესში. ყოველი შემდგომი შეხვედრის პირობების შეთანხმება ხდება წინა შეხვედრაზე. მორიგი შეხვედრის ელემენტებია: • შეხვედრის ადგილი; • შეხვედრის დრო; • მზვერავის (აგენტის) ქმედებები; • შეხვედრის ლეგენდა.
მოძრავი სამალავები	საიდუმლო ადგილები, რომლებიც მოწყობილია სატრანსპორტო საშუალე-ბებში (მატარებელი, ავტობუსი, თვითმფრინავი, გემი, ავტომანქანა და ა.შ.) და გამოიყენება აგენტურული მასალების გადასაცემად.
მყისიერი / ერთდროული გადმობირება	გადმობირების ფორმა, რომელიც გულისხმობს გადმობირების კანდიდა-ტისგან საიდუმლო თანამშრომლობაზე თანხმობის მიღებასა და გადმობირების განმტკიცებას ერთი შეხვედრის ფარგლებში.

ნ

ნეიროლინგვისტური პროგრამირება

(ნლპ) - ფსიქო-ტექნოლოგიები, რომლებიც განვითარდა მისი დამფუძნებლების – რიჩარდ ბენდლერისა და ჯონ გრინდერის, აგრეთვე მათი მიმდევრების შრომების საფუძველზე. ნლპ-ს ძირითადი მიზანია, ასწავლოს ადამიანს თვითრეალიზაცია და ეფექტური კომუნიკაცია, შეცვალოს მენტალური და ემოციური რეაგირების პატერნები.

ნიშნის მიცემა (სიგნალიზირება)

წარმოადგენს მზვერავის მიერ აგენტი-სათვის (ან პირიქით) წინასწარ განსაზღვ-რულ შეტყობინებას (სიგნალს). ეს შეტყობი-ნება (სიგნალი) შეიძლება ეხებოდეს:

- სასწრაფო ან რიგგარეშე შეხვედრაზე გამოძახებას;
- კონტეინერის სამალავში ჩადებას ან ამოღებას;
- რადიოშიფრის მიღების დადას-ტურებას;
- მაკონტროლებლის მიერ კონტრ-თვალთვალზე მზადყოფნას;
- გარემეთვალყურეობის არსებობას ან არარსებობას.

სიგნალი შეიძლება იყოს გრაფიკული, ბგერითი, რადიო, საგნობრივი; გამოიხატოს მოქმედებით, შუქის მეშვეობით და ა.შ.

ოპერატიულ – ტექნიკური ღონისძიებები	ოპერატიული დაინტერესების ობიექტზე ფარული ვიზუალური ან სმენითი დაკვირვება, ფოტო, ვიდეო, აუდიო-ჩანაწერების გაკეთება, რაც სპეციალური ოპერატიული ტექნიკის საშუალებებით ხორციელდება შემდეგი მიზნებისთვის: • ოპერატიული მიზნებისთვის, ოპერა-ტიული დაინტერესების ობიექტის (სამიზნის) შესასწავლად და შესამოწმებლად; • სამართალდაცვითი მიზნებისათვის, მოსამართლის ნებართვით, დაინტე-რესების ობიექტის დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით. ასეთი გზით მოპოვებული მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც პირის დანაშაულებრივი საქმიანობის მტკიცებულება.
ოპერატიული ამოღება	სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მეთოდი. სადაზვერვო დაინტერესების ობიექტებიდან ან პირებისგან დაზვე-რვისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და საგნების ფარულად ან ლეგენდი-რებულად (დროებით ან მუდმივად) ამოღება მათი შესწავლის ან სადაზვერვო მიზნებისათვის გამოყენების მიზნით.
ოპერატიული გამოკითხვა	სადაზვერვო ინფორმაციის მიღების მეთოდი, რომელიც ემყარება გამოკითხვის ჩამტარებელი მხარის რეალურ ან მოჩვენებით უფლებას, მისცეს შეკითხვები და მიიღოს მასზე პასუხები.

ოპერატიული გამოტყუება	სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მეთოდი. მზვერავის, აგენტისა ან სხვა ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მიერ ლეგენდირებულად, ფარულად სადაზვერვო ინფორმაციის მფლობელი პირისგან ინფორმაციის მიღება ისე, რომ ამ უკანასკნელის მიერ ინფორმაციის გაცემა გაუცნობიერებლად მოხდეს. დადებითი შედეგი მიიღწევა ისეთი სიტუაციის შექმნით, რომელიც ობიექტს აკარგვინებს საკუთარ ქცევებზე კონტროლს და უქმნის ინფორმაციის გაცემის მოტივაციას. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ისეთ ადამიანურ სისუსტეებზე ზემოქმედება, როგორიცაა ტრაბახი, ყბედობა, პატივმოყვარეობა, ზედმეტი მიმნდობლობა და ა.შ.
ოპერატიული გარდერობი	გარემეთვალყურეობის თანამშრომლებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა სახისა და მოდის ტანსაცმელი (მათ შორის უნიფორმა და ამოსაბრუნებელი – ორმხრივად ჩასაცმელი), ქუდები, თავსაბურავები და აქსესუარები, რომლებიც გამოიყენება ობიექტზე თვალთვალის პროცესში გარემეთვალყურეობის თანამშრომელთა (მზვერავთა) შესანიღბად.
ოპერატიული გეგმა	პრიორიტეტულობის მიხედვით დალაგებული და ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული ელემენტების (ქმედებების) ერთობლიობა (შემსრულებლების, ვადებისა და გამოყენებული რესურსების მითითებით), რომელთა განხორციელება აუცილებელია კონკრეტული ოპერატიული მიზნის (ჩანაფიქრის) მისაღწევად.

ოპერატიული დადგენა	ოპერატიულად საინტერესო პირთა შესახებ ბიოგრაფიული და სხვა მახასიათებელი მონაცემების, აგრეთვე მათი კავშირების, ცხოვრების წესისა და ქცევის შესახებ ცნობების ფარულად შეკრება.
ოპერატიული დათვალიერება	სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მეთოდი. ოპერატიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების ან საგნების აღმოჩენისა და მათი ფიქსაციის მიზნით სადაზვერვო დაინტერესების ობიექტების, მათი ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ობიექტების ვიზუალური შესწავლა მათში ფარული ან ლეგენდირებული შეღწევის გზით.
ოპერატიული დაკვირვება	სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მეთოდი. სადაზვერვო დაინტერესების ობიექტების, ფაქტების, მოვლენების სისტემატური, ორგანიზებული, მიზანმიმართული აღქმა, მათზე ვიზუალური, სმენითი ან სხვა სახის დაკვირვების ფორმით. ოპერატიული დაკვირვების მიზანია დაკვირვების ობიექტის შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის მოპოვება. დაკვირვება ხორციელდება ოპერატიული ინფორმაციის წყაროების, ტექნიკური, ოპერატიულ-ტექნიკური და სხვა ოპერატიული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით.
ოპერატიული დამუშავება	ოპერატიულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია დაზვერვასთან ოპერატიულ კავშირზე (კონტაქტზე) მყოფი პირის მიზანმიმართულ შესწავლა-შემოწმებაზე, მასზე ისეთი ზეგავლენის მოხდენაზე, რომელიც შექმნის მისი გადმობირების რეალურ წინაპირობებს.

ოპერატიული დეზინფორმაცია

აგენტურულ-ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდი. იგი გულისხმობს მოწინააღმდეგის (სპეცსამსახურების) შეცდომაში შეყვანას, მისთვის წინასწარ, სპეციალურად მომზადებული ისეთი ინფორმაციის შეტყუებით (მიწოდებით), რომელიც განაწყობს მას, იმოქმედოს დაზვერვისათვის ხელსაყრელი მიმართულებით.

ოპერატიული დეზინფორმაცია, როგორც ოპერატიული საქმიანობის ერთ-ერთი მეთოდი (ოპერატიულ შეღწევასა და ოპერატიულ კომბინაციასთან ერთად), უნდა განვასხვავოთ ზოგადად ,,დეზინფორმაციისაგან", როგორც აქტიური ღონისძიების ერთ-ერთი სახისგან; იხ. ,,აქტიური ღონისძიებები'' (სადაზვერვო ოპერაციები).

ოპერატიული დოკუმენტები

ინფორმაციის შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით გამოყოფენ ოპერატიული დოკუმენტების სამ ჯგუფს. ასეთი დოკუმენტებია:

- **საინფორმაციო დოკუმენტები** - მათი დანიშნულებაა ოპერატიული მნიშვნელობის ინფორმაციების დაფიქსირება და შემდგომში გასატარებელი ოპერატიული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

მათ მიეკუთვნება:

აგენტურული შეტყობინებები, გარემეთვალყურეობისა და ოპერატიულ-ტექნიკური დანაყოფების ცნობები, სადაზვერვო ხასიათის სხვადასხვა ცნობები, ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების შედეგები, ანალიტიკური ცნობები, მოხსენებითი ბარათები, ანგარიშები, ოქმები, საინფორმაციო ბიულეტინები და ა.შ.

- **დოკუმენტები მოქმედებათა და**

განკარგულებათა შეთანხმებისათვის - მათი დანიშნულებაა ცალკეული აგენ-ტურულ-ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებების ან მათი კომპლექსების (ოპერატიული აღრიცხვის საქმეები) ფიქსირება. მათ მიეკუთვნება: პატაკი, დადგენილება, გეგმა, დავალება, შიდასაუწყებო ან სხვა ორგანიზაციაში გასაგზავნი შეკითხვა, მოთხოვნა, ორიენტირება და სხვა.

- **ნორმატიული დოკუმენტები**- შეიცავენ ინფორმაციას აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობის განხორ-ციელების პრინციპების, მოთხოვნებისა და წესების, ასევე სპეცსამსახურების თანამშრომლების ფუნქციონალური მოვალეობის შესახებ. მათ მიეკუთვნება:
    - ბრძანებები;
    - ინსტრუქციები;
    - წესდებები;
    - დებულებები და სხვა.

ოპერატიული ექსპერიმენტი — ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების მეთოდი. გულისხმობს სადაზვერვო დაინტერესების ობიექტზე ფარული, მიზანდასახული ზემოქმედების შედეგად (სპეციალურად შექმნილ პირობებში) მის იძულებას, ჩაიდინოს ქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს დაზვერვას, გამოავლინოს ობიექტის ჭეშმარიტი ზრახვები, მისწრაფებები, თვისებები, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში არ გამოვლინდება, დაადასტურებს ან გააქარწყლებს ეჭვს სადაზვერვო ინფორმაციის უტყუარობის ან ოპერატიული ინფორმაციის წყაროების სანდოობასთან დაკავშირებით.

ოპერატიული ვითარება	იხ. “აგენტურულ – ოპერატიული ვითარება”.
ოპერატიული თამაში	მოწინააღმდეგის სპეცსამსახურებზე აქტიური ზემოქმედება, რაც ხორციელდება აგენტურული შეღწევის ან კავშირის მათი არხების აღმოჩენისა და გამოყენების გზით და რომლის მიზანია მოწინააღმდეგის დეზინფორმირება, მისი ისეთი ქმედებების გამოწვევა, რომლებიც მომგებიანია ოპერაციის ჩამტარებელი მხარისათვის.
ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების მეთოდები	ხერხების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ოპერატიულ საქმიანობაში ინფორმაციის მოპოვების მიზნით. ასეთებს განეკუთვნება: ოპერატიული დაკვირვება, ოპერატიული გამოკითხვა, ოპერატიული გამოტყუება, ოპერატიული ექსპერიმენტი, ოპერატიული დათვალიერება, ოპერატიული მოდელირება. ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ოპერატიული ამოცანის სირთულესა და ხასიათზე. უმრავლეს შემთხვევაში მეთოდები გამოიყენება კომბინირებულად.
ოპერატიული ინფორმაციის წყარო	პირი, რომელიც ფარულად, ნებაყოფლობით თანამშრომლობს დაზვერვასთან - საიდუმლო თანამშრომელი (აგენტი), რეზიდენტი, სანდო პირი, განსაკუთრებული კავშირი.
ოპერატიული კომბინაცია	წარმოადგენს ერთიან ჩანაფიქრს (მიზანს) დაქვემდებარებულ სადაზვერვო-ოპერატიულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლითაც ოპერატიული დაინტერესების ობიექტზე ხორციელდება მიზანმიმართული ზემოქმედება, რის შედეგადაც ობიექტს უჩნდება მოტივაცია შეასრულოს სადაზვერვო ამოცანის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი ქმედება.

ოპერატიული კომბინაციის პროცესში ზემოქმედება ხორციელდება ობიექტის აზროვნებაზე, ნებისყოფასა და ფსიქიკაზე. იგი ატარებს ფარულ, კონსპირაციულ, მიზანმიმართულ, წარმმართველ ხასიათს.

ოპერატიული კონტაქტი

ა) გადმობირების კანდიდატთან (ოპერატიული დამუშავების ობიექტთან) ღია ან ლეგენდირებული საქმიანი ურთიერთობის დამყარება, რომლის მიზანია საიდუმლო თანამშრომლობაში მისი თანდათანობით ჩართვა და გადმობირებისათვის საფუძველის მომზადება;
ბ) სასარგებლო კონტაქტთან ან ოპერატიული დამუშავების ობიექტთან ლეგენდირებული საქმიანი ურთიერთობის დამყარება სადაზვერვო ინფორმაციის შენიღბულად მიღების მიზნით;
გ) პირი, რომელთანაც მზვერავს ოპერატიული კონტაქტი აქვს დამყარებული.

ოპერატიული მოდელირება

სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მეთოდი. მისი არსია არსებული ინფორმაციის საფუძველზე ოპერატიული დაინტერესების ობიექტის, ოპერატიულ საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების, საგნების, მოვლენების წარმოსახვითი ნიმუშის (მოდელის) შექმნა.
მოდელი შესაძლოა იყოს როგორც ვერბალური (სიტყვიერი), ისე გამომსახველობითი, ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული. იგი ხელს უნდა უწყობდეს განსახორციელებელი ოპერატიული ღონისძიებების ტაქტიკის, ფორმებისა და მეთოდების სწორად შერჩევას.

ოპერატიული მოძიება	ოპერატიული ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება დაზვერვის მიერ საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულებაზე, ან დაინტერესების ობიექტზე გადმობირების შესაძლო პერსპექტიული კანდიდატების გამოვლენის მიზნით.
ოპერატიული სამიზნე(ოპერატიული დაინტერესების ობიექტი)	საგანი, მოვლენა, პირი, პირთა ჯგუფი, ორგანიზაცია, დაწესებულება, პროცესი, რომლებიც წარმოადგენენ დაზვერ-ვისათვის ოპერატიულ ინტერესს.
ოპერატიული საქმიანობა	კანონით განსაზღვრული, ფარული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სადაზვერვო დაწესებულებების მიერ ოპერატიული ძალების, საშუალებების, ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. იგივეა, რაც აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობა, აგენტურული დაზვერვა. ეს ტერმინები ძირითადად გამოიყენებოდა და გამოიყენება პოსტსაბჭოთა ქვეყნების სპეცსამსახურებში. მათგან განსხვავებით, ზოგიერთი დასავლური ქვეყნის დაზვერვის სისტემაში გამოიყენება ტერმინი – დაზვერვა ადამიანური რესურსების გამოყენებით.
ოპერატიული საქმიანობის ზოგადი პრინციპები	პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ოპერატიული საქმიანობის შინაარსობრივ და ორგანიზაციულ მხარეს და უზრუნველყოფენ ამ საქმიანობის შედეგიანობას. ეს პრინციპებია: • კანონიერება; • კონსპირაციულობა; • შეტევითობა; • გეგმიურობა; • კოორდინაცია; • ცენტრალიზაცია; • მიზანდასახულობა; • პრიორიტეტულობა; • ობიექტურობა;

- მიზანშეწონილობა;
- ძალებისა და საშუალებების რაციონალური გამოყენება.

ოპერატიული საქმიანობის კერძო პრინციპები	პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა ოპერატიული საქმიანობა ოპერატიული ინფორმაციის წყაროებთან მუშაობაში, აგრეთვე ოპერატიულ-ტექნიკური და სხვა ოპერატიული საშუალებების გამოყენების დროს.
ოპერატიული საქმიანობის მეთოდები	ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის ხერხების ერთობლიობა. განასხვავებენ ზოგად და განსაკუთრებულ მეთოდებს. ზოგად მეთოდებს განეკუთვნება: ოპერატიული შეღწევა, ოპერატიული კომბინაცია და ოპერატიული დეზინ-ფორმაცია. განსაკუთრებულ მეთოდებად ითვლება სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების, ოპერატიული ინფორმაციის წყაროებთან მუშაობის, ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებების გამოყენების, გარემეთვალყურეობისა და ოპერატიული დადგენის მეთოდები.
ოპერატიული საქმიანობის ორგანიზების პრინციპები	პრინციპები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება ოპერატიული საქმიანობა დაზვერვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე და ობიექტებზე. ასეთებად განიხილება ხაზობრივი, გეოგრაფიული და ობიექტობრივი პრინციპები.
ოპერატიული საქმიანობის საშუალებები	საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც ოპერატიული ძალები ახორციელებენ ოპერატიულ საქმიანობას. ესენია: ოპერატიული ინფორმაციის წყაროები, გარემეთვალყურეობისა და ოპერატიული დადგენის დანაყოფები, ოპერატიულ-ტექნიკური და სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

ოპერატიული საქმიანობის სუბიექტი	სადაზვერვო დაწესებულების ორგანიზაციულ-სტრუქტურული დანაყოფი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ოპერატიულ საქმიანობას.
ოპერატიული საქმიანობის ტაქტიკა	დაზვერვის მიერ სადაზვერვო ამოცანების ეფექტურად შესრულების მიზნით ოპერატიული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების ფორმებისა და ორგანიზაციული ქმედებების ერთობლიობა.
ოპერატიული საქმიანობის უსაფრთხოება	გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას, რაც უზრუნველყოფს სადაზვერვო დაწესებულების საქმიანობის, მისი ძალებისა და საშუალებების უსაფრთხოებას.
ოპერატიული საქმიანობის ციკლი	ოპერატიული საქმიანობის ფაზებია: • სადაზვერვო (ოპერატიული) ამოცანის დასმა; • არსებული ოპერატიული შესაძლებლობების ანალიზი; ოპერატიული (აგენტურული) შეღწევის ამოცანების განსაზღვრა; • ოპერატიული სამიზნის (გადმობირების კანდიდატის) შერჩევა; • კანდიდატის დამუშავება (შესწავლა, შემოწმება); • გადმობირება; • აგენტთან მუშაობა /ხელმძღვანელობა; • აგენტურული ურთიერთობის შეწყვეტა / შეჩერება.
ოპერატიული საქმიანობის ძალები	სადაზვერვო დაწესებულების შტატში მყოფი ოპერატიული შემადგენლობა და შტატგარეშე თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ გეგმავენ და ახორციელებენ ოპერატიულ საქმიანობას.

ოპერატიული ღონისძიება	ოპერატიული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით განხორციელებული ქმედებები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული სადაზვერვო-ოპერატიული ამოცანის გადაწყვეტაზე.
ოპერატიული შერჩევა	ოპერატიულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია დაზვერვის მიერ კონკრეტული სადაზვერვო ამოცანის გადაწყვეტის მიზნით მონიშნული (შერჩეული) გადმობირების კანდიდატის (ოპერატიული სამიზნის) ყოველმხრივ შესწავლა-შემოწმებაზე და მასთან ოპერატიული კონტაქტის დამყარებისთვის პირობების მომზადებაზე.
ოპერატიული შეღწევა	ოპერატიული საქმიანობის მეთოდი, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის სპეცსამსახურებში, მათ აგენტურულ აპარატში, სადაზვერვო დაინტერესების სხვა ობიექტებზე ოპერატიული პოზიციების შექმნა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების, დაინტერესების ობიექტებზე ზეგავლენის მოხდენის, მოწინააღმდეგის დეზინფორმირების ან სხვა აქტიური ღონისძიებების (სადაზვერვო ოპერაციების) ჩატარების მიზნით. იგივეა, რაც აგენტურული შეღწევა. ოპერატიული შეღწევა ხორციელდება აგენტის ჩანერგვის ან აგენტის გადმობირების გზით.
ოპერატიული ციკლი	თანმიმდევრული, ურთიერთდაკავშირებული ქმედებებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სადაზვერვო და/ან ოპერატიული ინფორმაციის წყაროების შეძენასა და მათთან მუშაობას. ოპერატიული ციკლის ფაზებია: სადაზვერვო და/ან ოპერატიული ინფორმაციის პოტენციური წყაროს (კანდიდატის) შერჩევა; კანდიდატის შესწავლა – შემოწმება; კანდიდატის

	დამუშავება; წყაროს შეძენა (კანდიდატის გადმობირება); წყაროსთან მუშაობა; წყაროსთან მუშაობის შეწყვეტა.
ოპერატიული ცნობა	წარმოადგენს სპეციალურ სამსახურებში ოპერატიული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტის ერთ-ერთ ფორმას.
ოპერატიული წვდომა	ოპერატიული ინფორმაციის წყაროს შესაძლებლობები, მოიპოვოს სადაზვერვო მონაცემები (შეასრულოს კონკრეტული სადაზვერვო ამოცანა).
ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება «ა»	ფარული აუდიოკონტროლი.
ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება «დ»	დოკუმენტების ან საგნის ფარული დათვალიერება, მათი ფოტო-ვიდეო-გადაღება.
ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება «ვ»	ფარული ვიდეოკონტროლი.
ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება «სკ»	ფარული საფოსტო კონტროლი.
ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება «ტ»	ფარული სატელეფონო კონტროლი (მოსმენა).
ორმაგი აგენტი	აგენტი, რომელიც თანამშრომლობს ორ ან მეტ სადაზვერვო ან კონტრსადაზვერვო სამსახურთან და, როგორც წესი, მალავს ამას ერთ-ერთის, ან თითოეული მათგანისაგან.
ოტელოს შეცდომა	ტყუილის ვერიფიცირების დროს შეცდომის დაშვების მიზეზი;

ტყუილში დადანაშაულების შემთხვევაში, შიშის გრძნობის აღმოცენების გამო, სრულიად უდანაშაულო ადამიანმა შესაძლებელია გამოავლინოს დამნაშავისა-თვის დამახასიათებელი რეაქციები (თვალების სწრაფი მოძრაობა, სახის გაფითრება, და ა.შ.).

პროლი და პასუხი

წინასწარ შეთანხმებული სიტყვები, ფრაზები ან გარკვეული საგნები, რომლებსაც მზვერავი და აგენტი ერთმანეთს უცვლიან (ან წარუდგენენ) პირად კონტაქტში შესვლისას, აგენტურული კავშირის განხორციელების უფლებამოსილების საბოლოო დადას-ტურებისათვის. პროლს, როგორც წესი, მზვერავი ამბობს, აგენტი კი - პასუხობს. პროლი და მასზე პასუხი ადვილად დასამახსოვრებელი უნდა იყოს და, ამასთანავე, გამორიცხავდეს შემთხვევითი წარმოთქმის შესაძლებლობას უცხო პირთა მიერ შეხვედრის ადგილზე. მათი წარმოთქმა ადგილსამყოფელი ქვეყნის ენაზე ხდება.

პერსპექტიული პირი

პირი, რომელსაც აქვს ან მომავალში ექნება (მისი პიროვნული და საქმიანი თვისებებიდან გამომდინარე) დაზვერვის ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობები და რომლის შესახებაც შეგროვებული პირველადი მონაცემებით შეიძლება ვივარაუდოთ მისი დაზვერვასთან საიდუმლო თანამშრომლობაში ჩაბმის პერსპექტივა.

პირადი კავშირი

უშუალო კონტაქტი მზვერავსა და აგენტს შორის (კავშირის ყველაზე სახიფათო ფორმა), რომელიც ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაზვერვის ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია აგენტთან პირადი ურთიერთობა.

პირადი კავშირის სახეობებია:

- მორიგი შეხვედრა;
- სათადარიგო შეხვედრა;
- სასწრაფო შეხვედრა;
- შეხვედრა გამოცხადების ადგილზე

(მუდმივი კავშირის პირობებში);
- მომენტალური გადაცემა;
- საკონტროლო შეხვედრა;
- ხანმოკლე შეხვედრა.

პირადი კონტაქტი

- გადმობირების კანდიდატთან (ოპერატიული შერჩევის ან დამუშავების ობიექტთან) ლეგენდირებული პირადი ურთიერთობების დამყარების პროცესი მისი ღრმად შესწავლისა და ოპერატიული კონტაქტის დამყარებისათვის პირობების მომზადების მიზნით;

- დაზვერვისთვის საინტერესო პირთან (ობიექტთან) პირადი ურთიერთობების დამყარება სადაზვერვო ინფორმაციის გამოტყუების ან სხვა მეთოდებით მიღების მიზნით;

- პირი (ობიექტი), რომელთანაც მზვერავს პირადი კონტაქტი აქვს დამყარებული.

პირდაპირი გადმობირება

გადმობირების ფორმა, რომელიც გულისხმობს კანდიდატის გადმობირებას დაზვერვის სახელით. შესაძლოა, გამოყენებული იქნას ტერმინი ,,ღია გადმობირება''.

პოლიტიზებული ინფორმაცია

ინფორმაციით მანიპულირება, გადაწყვეტილების მიმღებისთვის ისეთი სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდება, რომელიც არაორაზროვნად უბიძგებს მას კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისკენ (ზოგ შემთხვევაში, მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებისკენ).

რ

რეზიდენტი

- დაზვერვის სამსახურის გამოცდილი თანამშრომელი, ლეგალური რეზიდენტურის ხელმძღვანელი;
- არალეგალი, რომელიც ხელმძღვანლობს რამდენიმე აგენტის სადაზვერვო საქმიანობას.

რეზიდენტურა

დაზვერვის სამსახურის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს სადაზვერვო საქმიანობას დაინტერესების ქვეყნის ტერიტორიაზე.

რეზიდენტურა არალეგალური

აგენტურული ქსელი, რომელსაც ხელმძღვანელობს არალეგალი.

რეზიდენტურა ლეგალური

დაინტერესების ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულების ან სხვა ოფიციალური ორგანიზაციის საფარქვეშ მოქმედი რეზიდენტურა (დაზვერვის სამსახურის სტრუქტურული ერთეული).

ს

საგარეო დაზვერვა (სადაზვერვო საქმიანობა)	საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, «საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საგარეო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი, რეალიზაცია, აგრეთვე ქვეყნის სტრატეგიული კურსის გატარებისათვის ხელშეწყობა.»
საგარეო კონტრდაზვერვა (საგარეო კონტრდაზვერვითი საქმიანობა)	საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, «სადაზვერვო საქმიანობის სახეობა, რომელიც ხორციელდება საზღვარგარეთის პირობებში სადაზვერვო საქმიანობისა და მასში მონაწილე პირების, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სახელმწიფო ორგანიზაციებისა და ხანგრძლივი დროით მივლინებაში მყოფი საქართველოს იმ მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომლებიც თავისი საქმიანობით დაკავშირებულნი არიან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან.»
სადაზვერვო ინფორმაცია (სადაზვერვო პროდუქტი)	დაზვერვის მიერ მომზადებული, ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ეროვნული უშიშროების პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებების მისაღებად.
სადაზვერვო ოპერაცია	ოპერატიულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა და ამ პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ.

სადაზვერვო ციკლი	თანმიმდევრული, ურთიერთდაკავშირებული ქმედებებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელიც ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სადაზვერვო პროდუქტით უზრუნველყოფს. სადაზვერვო ციკლის ფაზებია: • ინფორმაციაზე მოთხოვნა; • სადაზვერვო დავალება; • ინფორმაციის მოპოვება/შეგროვება; • ინფორმაციის დამუშავება; • ინფორმაციის ანალიზი და სადაზვერვო პროდუქტის შექმნა; • ინფორმაციის გავრცელება; • ინფორმაციის მოხმარება; • უკუკავშირი/ახალი სადაზვერვო დავალება (დამატებითი ინფორმაციების მოთხოვნა).
სათადარიგო შეხვედრა	ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ აგენტთან რაიმე მიზეზით არ შედგა მორიგი შეხვედრა. ასეთი შეხვედრის პირობები აგენტთან წინასწარაა შეთანხმებული.
საიდუმლოების ხარისხი	კატეგორია, რომელიც გამოხატავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მნიშვნელობას, მისი გამჟღავნებით ან დაკარგვით გამოწვეულ შესაძლო ზიანს, ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ხარისხს და სახელმწიფოს მიერ მისი დაცვის დონეს.
საიდუმლო თანამშრომელი (აგენტი)	დაზვერვის მიერ ფარული საქმიანობის განსახორციელებლად გადმობირებული პირი, რომელიც საიდუმლოდ, ნებაყოფლობით, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე თანამშრომლობს და არ იმყოფება მის შტატში. აგენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნებია: სადაზვერვო წვდომა, საიმედოობა,

	სადაზვერვო შესაძლებლობებისა და/ან პერსპექტივების ფლობა. აგენტი შეიძლება გვევლინებოდეს დამუშავების შესაძლო კანდიდატზე პირველადი ინფორმაციის მომწოდებლის, დამმუშავებლის, გადმომბირებლის, ინფორმაციის მომპოვებლის, გამოსაცხადებელი და კონსპირაციული ბინების მფლობელის და ა.შ. როლში.
საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის ძირითადი ეტაპები	• პრობლემის საერთო (ზოგადი) გაცნობა; • გამოყენებული ტერმინებისა და ცნებების განმარტება; • ფაქტების (ინფორმაციის) შეგროვება; • ფაქტების გამოკვლევა (განმარტება/ სისტემატიზაცია); • ჰიპოთეზის შექმნა (წამოყენება); • დასკვნები; • გადმოცემა/დოკუმენტის შედგენა.
საინფორმაციო საქმიანობის პროცესი (ინფორმაციის გადარჩევა–დამუშავება)	ინფორმაციის რეგისტრაცია, გადარჩევა, დაგროვება, შენახვა, დამუშავება და გაცემა მომხმარებლის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად. ინფორმაციის დამუშავება არის ანალიზისათვის მოსახერხებელ ფორმებში გარდაქმნის (თარგმნა, დახარისხება, დაჯგუფება, შევსება, შედარება და ა.შ.) პროცესი.
საინფორმაციო ცნობა	იწერება შედარებით მწირი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, როცა მასალა არ საჭიროებს ან არ იძლევა ანალიზის საშუალებას.
საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობა დაზვერვაში	სადაზვერვო ინფორმაციის მომხმარებლის დაინტერესების გათვალისწინებით, პირველადი სადაზვერვო მონაცემებისა და სხვა მასალების დამუშავებითა და ანალიზით, მის ღირებულებაგაზრდილ სადაზვერვო

	ინფორმაციად, ანუ დაზვერვის საბოლოო პროდუქტად - გაფრთხილებად, ანგარიშად, გამოკვლევად, შეფასებად, ინსტრუქციად გარდაქმნის პროცესი.
საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის ასპექტები	მათში იგულისხმება: • არსებული მდგომარეობის შესწავლა; • შესაძლებლობების შესწავლა; • ზრახვების გამოვლენა.
საინფორმაციო-ანალიტიკური ცნობა	იწერება მასალაზე, რომელიც საჭიროებს შემდგომ ანალიზს და შესაბამისი დასკვნის გაკეთებას.
საკონტროლო შეხვედრა	შეხვედრა აგენტთან, ცალმხრივი ან ორმხრივი ვიზუალური კონტაქტის დამყარებით. ასეთი შეხვედრის პირობები წინასწარ მუშავდება. როგორც წესი, ასეთი შეხვედრა ტარდება იმ აგენტთან რომელთანაც კავშირი დროებით შეწყვეტილი იყო.
საკუთარი ტერიტორიიდან დაზვერვა	სადაზვერვო საქმიანობის წარმოების ორგანიზაციული ფორმა. ეს ნიშნავს დაინტერესების ქვეყანაში სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზებას იმ ოპერატიული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით, რომლებიც გააჩნია სადაზვერვო დაწესებულებას საკუთარ ტერიტორიაზე. საკუთარი ტერიტორიიდან დაზვერვა ძირითადად ხორციელდება მზვერავების ან ოპერატიული ინფორმაციის წყაროების ხანმოკლე ან გრძელვადიანი მარშრუტი-რებით სადაზვერვო დაინტერესების ქვეყანაში, აგრეთვე ქვეყანაში შემოსული (ან ქვეყანაში მყოფი) დაზვერვისთვის საინტერესო უცხოელების დამუშავებით.
საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაზვერვაში	დაზვერვის სამსახურის მიერ წარმოებული ოპერაციების, მისი მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების, მოპოვებული ინფორმაციის, ოპერატიული წყაროების, ტექნიკური საშუალებებისა და საკომუ-

ნიკაციო ხაზების, სამსახურის შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხობის უზრუნველყოფა მოწინააღმდეგის სპეცსამსახურების სადაზვერვო მისწრაფებებისგან.

სამალავი

წინასწარ შერჩეული საიდუმლო ადგილი ან საგანი, რომელიც გამოიყენება აგენტურული მასალების (საშუალებების) ან ფასეულობების ჩასადებად და უზრუნველყოფს დანიშნულ დროს მათ ფარულ, უკონტაქტო გადაცემას აგენტისგან მზვერავისთვის და პირიქით.

სამალავი შეიძლება იყოს:

- სტაციონარული;
- გადასატანი;
- მოძრავი;
- ერთჯერადი;
- მრავალჯერადი;
- დიდი ან მცირეგაბარიტიანი;
- გრძელვადიანი ან მოკლევადიანი შენახვისათვის.

სანდო პირი

საქართველოს მოქალაქე, რომლთანაც სამსახურს დამყარებული აქვს სანდო ურთიერთობა და იყენებს ისეთი ცალკეული დავალებების შესასრულებლად, რომლებიც არ საჭიროებენ სპეციალურ ოპერატიულ მომზადებასა და კონსპირაციის განსაკუთრებული ზომების დაცვას.

სასარგებლო კონტაქტი (სასარგებლო კავშირი)

საზღვარგარეთის პირობებში მზვერავის მიერ ოპერატიულ მიზნებში გამოყენებული უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულე, რომელმაც არ იცის, რომ ის დაზვერვის მიერ გამოიყენება. მასთან მუშაობა ლეგენდირებულია მზვერავის

	მიერ გამოყენებული საფარით. მზვერავის თხოვნების შესრულებისას სასარგებლო კონტაქტი (კავშირი) არ გამოდის თავისი ოფიციალური მდგომარეობის ჩარჩოებიდან და შესაძლებლობებიდან.
სასწრაფო შეხვედრა	რიგგარეშე შეხვედრა, რომელიც დგება მზვერავსა და აგენტს შორის სასწრაფო კონტაქტის აუცილებლობისას. სასწრაფო შეხვედრაზე გამოძახება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული სიგნალის მეშვეობით და პირობებით (ადგილი, დრო).
საფარი	უწყება, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც მზვერავი იყენებს თავისი სადაზვერვო საქმიანობის შესანიღბად.
საფრთხე	პოტენციური ან რეალური (დესტრუქციული) ზემოქმედება პირების, საზოგადოებრივი ჯგუფების, სახელმწიფო მოთხოვნილებების, ინტერესების საზიანოდ.
საფრთხის სიგნალი	მზვერავსა და აგენტს შორის წინასწარ შეთანხმებული ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ წარმოქმნილ საფრთხეზე და ამასთან დაკავშირებით შეხვედრის განხორციელების შეუძლებლობაზე. ის ბუნებრივი უნდა იყოს და არ უნდა იწვევდეს ეჭვს გარშემო მყოფ ადამიანებში.
სახელმწიფო ინტერესები	ქვეყნის გადარჩენის, არსებობისა და განვითარების ობიექტური მოთხოვნებით განპირობებული საბაზო ორიენტირები და სტიმულები, რომლებიც უსაფრთხობის მიზნებს, ზოგად ეროვნულ სარგებელსა და მოგებას ემსახურება.
სახელმწიფო საიდუმლოება	ინფორმაციის სახეობა, რომელშიც მოცემულია სახელმწიფო საიდუმლოების

შემცველი მონაცემები თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს ქვეყნის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ეს ინფორმაცია ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სადაზვერვო დაინტერესების ქვეყნის სახელმწიფო საიდუმლოება დაზვერვის მთავარი ინტერესის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ ქვეყნის ის უწყებები და ორგანიზაციები, სადაც კონცენტრირებულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, დოკუმენტები და საგნები, ოპერატიული (აგენტურული) შეღწევის უმნიშვნელოვანესი ობიექტებია.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სისტემა

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ორგანოების მიერ გამოყენებული საიდუმლოების დაცვის საშუალებები და მეთოდები, აგრეთვე ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.
უმეტეს ქვეყნებში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ოპერატიულ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს ახორციელებენ კონტრდაზვერვის ორგანოები.

სახელმწიფო უსაფრთხობა	მდგომარეობა, ტენდეციები და შეთანხმებულ ღონისძიებათა სისტემა, რომელთა ერთობლიობაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს საკმარის თავდაცვისუნარიანობას, მისი ფუნდამენტური ფასეულობებისა და ტრადიციების ოპტიმალურ განვითარებასა და დაცვას, შესაძლებლობას, ეფექტურად დაძლიოს ნებისმიერი გარე საფრთხე, იხელმძღვანელოს სახელმწიფო ინტერესებით.
სპეციალური დავალებების აგენტი	აგენტი, რომელიც ასრულებს განსაკუთრებულ, სპეციალურ დავალებას, მათ შორის - იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, სპეციალური პრეპარატებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.
სტაციონარული სამალავები	ბუნებრივი ან სპეციალურად მოწყობილი სათავსოები მოცემულ ლანდშაფტზე ან ადგილობრივ საგნებში, რომლებიც გამოიყენება აგენტურული მასალების გადაცემისათვის. არსებობს დიდგაბარიტიანი და მცირე გაბარიტიანი სტაციონარული სამალავები.
სტრატეგიული დაზვერვა	სადაზვერვო საქმიანობა, რომლის დანიშნულებაა მსოფლიოში, მსოფლიოს რომელიმე კონკრეტულ რეგიონში, სახელმწიფოში თუ სახელმწიფოთა კოალიციაში პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების შესახებ ინფორმაციების მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და შეფასება, მოვლენათა განვითარების პროგნოზირების მიზნით მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. სტრატეგიული დაზვერვის უმთავრესი მიზანია მოვლენების განვითარების ტენდეციების გამოვლენა და მათზე დაკვირვება.

ტ

ტერორიზმი

საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ტერორიზმად მიიჩნევა აფეთქების მოწყობა, ცეცხლის წაკიდება ან სხვა მოქმედებები, რომლებიც ქმნიან ადამიანთა დაღუპვის ან სხვა საზოგადოებრივად საშიში შედეგების გამოვლენის საფრთხეს, ან ეს ქმედებები ჩადენილია საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის, მოსახლეობის დაშავების ან ხელისუფლების ორგანოთა მიერ გადაწყვეტილებათა მიღებაზე ზემოქმედების მიზნით, აგრეთვე იმავე მიზნებით აღნიშნულ მოქმედებათა ჩადენის მუქარით.

«ტრანზიტი»

გარემეთვალყურეობის პროცესში ფარული აუდიოკონტროლის აპარატურის ჩამონტაჟება ობიექტის ავტომანქანაში.

«ტრანზიტი ა»

გარემეთვალყურეობის პროცესში ფარული აუდიოკონტროლის აპარატურის ჩამონტაჟება ობიექტის კავშირის ავტომანქანაში.

ფარული აუდიოკონტროლის აპარატურის თავისებურებაა მისი მცირე (მიკროსკოპული) ზომები და კომუფლირება ყოველდღიური მოხმარების საყოფაცხოვრებო, ასევე გარემოს შეხამებულ ბუნებრივ საგნებში, ტანსაცმლის აქსესუარებში, სერვისის საგნებში და სხვა.

უ

უპიროვნო კავშირი — გულისხმობს კავშირის განხორციელებას სამალავების, რადიოს, ფოსტის, ტელეგრაფის, სიგნალების, ფაქსის, ტელეფონის, ინტერნეტის და ა.შ. მეშვეობით.

უსაფრთხოება — პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების დაცვის მდგომარეობა შიდა და გარე საფრთხისაგან.

უსაფრთხოების მარშრუტი — დაზვერვის ოფიცრის მიერ სადაზვერვო ოპერაციის ჩასატარებლად შერჩეული და შესწავლილი გადაადგილების ისეთი მარშრუტი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოავლინოს გარემეთვალყურეობა, თავი დააღწიოს მას და უსაფრთხოდ ჩაატაროს დაგეგმილი ოპერაცია (ოპერატიული ინფორმაციის წყაროსთან შეხვედრა, სამალავი ოპერაცია).

ფ

ფარული შეხვედრის ბინა

ბინა, რომელიც დაზვერვის მიერ კონსპირაციულად გამოიყენება ოპერატიული ინფორმაციის წყაროებთან შესახვედრად და მათთან სამუშაოდ.

ფარული წერა

უჩინარი ტექსტების შედგენის ხერხი აგენტსა და სადაზვერვო ცენრტს შორის მიმოწერის საიდუმლოების უზრუნველყოფის მიზნით.

ფენომენი «კარში ფეხის ჩადგმა» («Foot in the door phenomenon»)

ადამიანებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია, რომ თუ ისინი დათანხმდებიან რაიმე უმნიშვნელო თხოვნის შესრულებაზე, შემდგომში ასრულებენ უფრო სერიოზულ თხოვნასაც.

ღ

ღია ინფორმაცია	ცნობები, რომლებთანაც დაშვებაც შეზღუ-დული არ არის.
ღია წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება	სადაზვერვო ინფორმაციის მიღება საჯარო და სხვა ხელმისაწვდომი არასაიდუმლო წყაროებიდან სადაზვერვო პროდუქტის შესაქმნელად.
ღრმა დაშიფვრის მზვერავი (საიდუმლო ოფიცერი)	დაზვერვის ოფიცერი, რომლის დაშიფვრას, მისი ოპერატიული მოღვაწეობის დასაწყისიდანვე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. დაზვერვასთან მისი კავშირი ცნობილია მხოლოდ მისი უშუალო და პირდაპირი ხელმძღვანელებისთვის.

ყ

ყველა კატეგორიის წყაროებიდან მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაცია (მონაცემები)

სადაზვერვო ინფორმაცია (მონაცემები), რომელიც მიღებულია ყველა ხელმისაწვდომი წყაროს (ოპერატიული წყაროები, ტექნიკური საშუალებები, ღია წყაროები) გამოყენებით.

შ

«შეკვეთა» — გარემეთვალყურეობის პროცესში ობიექტის საუბრების ფარული აუდიოკონტროლი საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე.

შემხვედრი გადაბირება — უცხოელის გადმობირების პროცესში მის მიერ მზვერავის ან აგენტის უკუ-გადაბირების მცდელობა.

შემხვედრი დამუშავება — პროცესი, როცა მზვერავი (ან აგენტი), უცხოელის შემდგომში გადმობირების მიზნით შესწავლისას თავად ხდება ამ პირის, ანუ მოწინააღმდეგე მხარის სპეცსამსახურის დამუშავების ობიექტი.

შენიღბვა — გარემეთვალყურეობის სამსახურის თანამშრომლის, დაზვერვის ოფიცრის, სადაზვერვო-ოპერატიული საქმიანობის, კონსპირაციული ბინებისა და ოპერატიული ავტომანქანების ისეთი ეკიპირება (ინტერიერი, ექსტერიერი) და აღჭურვა, რაც შეესაბამება მათ ლეგალურ მდგომარეობასა და დანიშნულებას და, ამასთანავე, იძლევა საშუალებას, შეინიღბოს მათი კავშირი სპეცსამსახურებთან.

შეჩეჩება (დახვედრება) — ოპერატიული (აგენტურული) შეღწევის ერთ-ერთი ხერხი, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის აგენტურულ ქსელში ოპერატიულ შეღწევაზე – მოწინააღმდეგის სპეცსამსახურების მიზნების, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გამოვლენის, მისი დეზინფორმირების მიზნით. როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მოწინააღმდეგის სპეცსამსახური თვითონ ცდილობს დაზვერვაში აგენტურული პოზიციების შექმნას და ამის საპასუხოდ დაზვერვა აჩეჩებს (ახვედრებს) მას თავის ოპერატიული ინფორმაციის წყაროს.

შემოჩეჩებული აგენტი	ადგილსამყოფელი ქვეყნის კონტრდა-ზვერვის შენიღბული თანამშრომელი ან აგენტი, რომელიც ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მზვერავი, დააყენოს იგი ცრუ კვალზე, შეზღუდოს მისი ძალისხმევა, მიმართული სადაზვერვო ინტერესების მქონე ობიექტებზე შეღწევისაკენ.
შემოწმების ადგილი	უსაფრთხოების მარშრუტზე შერეული ობიექტი (რესტორანი, კაფე, მარკეტი, ბანკი, აფთიაქი, კინოთეატრის ან თეატრის სალაროები, ატელიე და სხვა), საიდანაც დაზვერვის ოფიცერი აწარმოებს დაკვირვებას გარემეთვალყურეობის გამოვლენის მიზნით.
შეხვედრა წინასწარი გამოცხადების ადგილზე	შეხვედრა ხორციელდება პირადი კონტაქტის დასამყარებლად იმ მზვერავსა და აგენტს შორის, რომლებიც ადრე არ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან აგენტურული ურთიერთობით (არ იცნობდნენ ერთმანეთს). წინასწარი გამოცხადების ადგილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კავშირის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. წინასწარი გამოცხადების ადგილზე შეხვედრის პირობების აუცილებელი ელემენტებია: • შეხვედრის ადგილი; • შეხვედრის დრო; • ამოსაცნობი ნიშნები; • პაროლი და პასუხი; • შეხვედრის ლეგენდა; • საფრთხის სიგნალი.

შეხვედრის ადგილი	აგენტის ადგილმდებარეობის მკაცრად განსაზღვრული წერტილი ან მისი მარშრუტის მონაკვეთი, სადაც უნდა განხორციელდეს მზვერავისა და აგენტის კონტაქტი.
შეხვედრის დრო	შეთანხმებულ ადგილზე შეხვედრის თარიღი, საათი, წუთი. ლოდინის დრო არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.
შეხვედრის ლეგენდა	წინასწარ მოფიქრებული, გამოგონილი, მაგრამ დამაჯერებელი ახსნა მზვერავის აგენტთან კონტაქტში შესვლის, მათი გარკვეულ ადგილზე ერთად ყოფნის მიზეზების, რაც ნიღბავს შეხვედრის ჭეშმარიტ მიზნებს. ლეგენდა უნდა შეესაბამებოდეს შეხვედრის ადგილსა და შეხვედრის დროს, მხარეთა მოქმედებებს, სოციალურ სტატუსსა და ოფიციალურ მდგომარეობას. შეხვედრის ლეგენდას მზვერავი და აგენტი ერთობლივად ამუშავებენ.
შიფრი	კრიპტოგრაფიის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შეტყობინების თითოეული ასოს სხვა ასოთი ან ციფრით შეცვლას.

ხ

ხანმოკლე შეხვედრა მზვერავსა და აგენტს შორის, მათი გადაადგილების მარშრუტის დათქმულ მონაკვეთზე, რამდენიმე წუთიანი კონსპირაციული შეხვედრა სიტყვიერი კონტაქტის განხორციელების ან მასალების ან/და საგნების გადაცემის მიზნით.

II. სამხედრო დაზვერვაში გამოყენებული ტერმინები

ა

აგენტი	დაზვერვის მიზნით, ინფორმაციის მოპოვებისა და მოხსენებისათვის რეკრუტირებული, გაწვრთნილი, მართული და გამოყენებული პირი.
აგენტურული დაზვერვის გეგმა	წარმოადგენს საბრძოლო დოკუმენტს - დაზვერვის გეგმის შემადგენელ ნაწილს, სადაც განისაზღვრება, თუ რა აგენტურული წყაროებით, რა დროში და რა თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს აგენტურული დაზვერვის ამოცანები.
ადამიანური რესურსებით დაზვერვა	სადაზვერვო მონაცემების მოპოვება ოპერატიული წყაროების გამოყენებით.
ადგილმდებარეობის დაზვერვა	მომავალ (მიმდინარე) საბრძოლო მოქმედების ზოლში ძალებისა და საშუალებების მოქმედებაზე ზეგავლენის მომხდენი ადგილმდებარეობის ელემენტების შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება, შეკრება, განზოგადება და მათი სარდლობისთვის (მეთაურებისთვის) მიწოდება. დაზვერვა წარმოებს თვალთვალით, სახმელეთო, საჰაერო, კოსმოსური ფოტოგრაფირებით, დათვალიერებითა და სხვა საშუალებებით.
ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა	სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მეთოდი, რომელიც გამოიყენება მზვერავის მიერ მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედების დროს.
ადრეული გაფრთხილების სისტემა	დაზვერვის ყველა სახის ძალებისა და საშუალებების კომპლექსი, მიმართული მოწინააღმდეგის საომარი მომზადების დროული გამოვლენისა და მოულოდნელი

	თავდასხმის (პირველ რიგში - საჰაერო) თავიდან აცილებისკენ.
აკუსტიკური დაზვერვა	სადაზვერვო მონაცემები, მიღებული აკუსტიკური მონაცემების შეგროვებითა და გადამუშავებით.
ამინდის დაზვერვა (მეტეოროლოგიური დაზვერვა)	წარმოადგენს მოცემულ მომენტში (დროის მონაკვეთში), განსაზღვრულ რაიონში ამინდზე განხორციელებულ ინსტრუმენტალურ და ვიზუალურ დაკვირვებას. იგი წარმოებს ღრუბლიანობის ზონის, უამინდობის, ატმოსფერული ფრონტების გადაადგილების მიმართულების, სიჩქარის და სხვა ფაქტორების დასადგენად.
ამოცნობა	საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ობიექტების მოცემული სიზუსტით დადგენის პროცესი (“ჩვენი-უცხო”).

გ

გამოსახულებითი დაზვერვა (დაზვერვა, რომელიც წარმოებს ტექნიკური საშუალებებით გამოსახულების მოპოვების მიზნით)

სადაზვერვო მონაცემების მიღება ფოტოგრაფიული, რადარული, ელექტრო-ოპტიკური, თერმული და მულტი-სპექტრალური სენსორებისაგან, რომლებიც შეიძლება განლაგდეს მიწის ზედაპირზე, ზღვაზე, ჰაერსა და კოსმოსში მოქმედ პლატფორმებზე.

დ

დაგროვებული სადაზვერვო ინფორმაციის სისტემატიზაცია

სადაზვერვო ინფორმაციის აღრიცხვის პროცესი, რომლის არსიც მდგომარეობს ინტერესთა სფეროების, მიმართულებებისა და მართვის ორგანოთა რგოლების შესაბამისად ინფორმაციის დახარისხებაში.

დავალება

არანორმატიული სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ანალიტიკური ჯგუფის მიერ გასაანალიზებელი საკითხის გარშემო ინფორმაციის მიღების, სპეციალისტების კონსულტაციებისა და შედეგების რეალიზაციის უფლება-მოვალეობებს. ასევე, ადგენს საბოლოო დოკუმენტის მიზნებს, ამოცანებს, საგანს, ფორმებსა და ვადებს.

დაზვერვა

- საქმიანობა სადაზვერვო მონაცემების შესაქმნელად; დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომლებიც ამ საქმიანობით არიან დაკავებულნი;
- ამოცანა, რომელიც ხორციელდება მოწინააღმდეგის ან პოტენციური მოწინააღმდეგის მოქმედებებისა და რესურსების შესახებ, ან ცალკეული რაიონის მეტეოროლოგიური, ჰიდროგრაფიული ან გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, ვიზუალური დაკვირვებით ან აღმოჩენის სხვა ხერხით.

დაზვერვა ბრძოლით

საგანგებოდ გამოყოფილი დანაყოფების შეტევითი მოქმედებებით სადაზვერვო მონაცემების მოპოვება. ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო მონაცემების მოპოვება დაზვერვის სხვა ხერხებით შეუძლებელია. ბრძოლით დაზვერვისთვის

	შეიძლება გამოიყოს გაძლიერებული მექანიზირებული ან სატანკო ბატალიონი (ასეული) და სადაზვერვო ქვედანაყოფი, რომელთა მხარდაჭერას ახორციელებს ავიაცია, არტილერია და სხვა საშუალებები. მეთაურები, რომელთა პასუხისმგებლობის ზოლში ხორციელდება დაზვერვა ბრძოლით, თვალყურს ადევნებენ საბრძოლო მოქმედებების მსვლელობას, აზუსტებენ მოწინააღმდეგის საბრძოლო შესაძლებობებს, განლაგებას, მოქმედების ჩანაფიქრს და მზად არიან განავითარონ მიღწეული წარმატება.
დაზვერვის აქტიურობა	დაზვერვის ხელმძღვანელების, შტაბების, ძალებისა და საშუალებების გადაუდებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, მიმართული ყველა არსებული შესაძლებლობებით აუცილებელი სადაზვერვო მონაცემების (ინფორმაციის) მოსაპოვებლად.
დაზვერვის გეგმა	საბრძოლო დოკუმენტების კომპლექსი, რომელშიც დეტალურად აისახება დაზვერვის ორგანიზება და წარმოება, ამოცანების შესრულების თანმიმდევრობა, ვადები და მეთოდები, ძალებისა და საშუალებების ურთიერთქმედებისა და მართვის საკითხები.
დაზვერვის დაგეგმვა	კამპანიის (ოპერაციის, ბრძოლის) მომზადების შემადგენელი ნაწილი, დაზვერვის ძალებისა და საშუალებების გამოყენების, ჩანაფიქრის, ამოცანების შესრულების მეთოდებისა და თანმიმდევ-რობის დეტალურად შემუშავების პროცესი, დაზვერვის ძალისხმევის გადანაწილება მიმართულების, სისტემის ფუნქციონირების ყოველმხრივ უზრუნველყოფისათვის.

დაზვერვის ეფექტიანობა	სამხედრო დაზვერვის მახასიათებელი, რომელიც საბრძოლო დავალებების მომზადებისა და განხორციელების პერიოდში აჩვენებს დასმული ამოცანების შესრულების ხარისხს.
დაზვერვის ზოლი	სივრცის განსაზღვრული ზოლი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება დაზვერვა გაერთიანების (შენაერთის) ყველა ძალისა და საშუალების გამოყენებით.
დაზვერვის ზონა	სივრცის განსაზღვრული რაიონი, რომლის ფარგლებშიც წარმოებს იმ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, რომელიც უზრუნველყოფს საბრძოლო მოქმედებების განხორციელებას.
დაზვერვის მანძილი	მანძილი (მაქსიმალური ან რეალური), რომლის ფარგლებშიც მოცემული დეტალურობით შესაძლებელია მოწინააღმდეგის ობიექტის (სამიზნის) გამოვლენა და მისი კოორდინატების დადგენა დაზვერვის ცალკეული საშუალებებით ან მათი ერთობლიობით.
დაზვერვის მართვა	ქმედებათა კომპლექსი, რომელშიც შედის სადაზვერვო მოთხოვნების განსაზღვრა, შეგროვების ძალისხმევის დაგეგმვა, შემგროვებელი ორგანოებისათვის ბრძანებებისა და განაცხადების გამოშვება და ამ ორგანოების პროდუქტიულობის უწყვეტი კონტროლის უზრუნველყოფა.
დაზვერვის მართვის ორგანოები	დაზვერვის ძალებისა და საშუალებების მართვისათვის განკუთვნილი შტაბების, სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვა საშტატო ორგანოების კრებითი დასახელება.

დაზვერვის მართვის პუნქტი	გაერთიანების (შენაერთის) მართვის პუნქტის შემადგენელი ნაწილი, ოპერაციის, ბრძოლის მომზადებისა და მსვლელობის დროს დაზვერვის ძალებისა და საშუალებების მართვის მთავარი ორგანო.
დაზვერვის მართვის სისტემა	კომპლექსური დაზვერვის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს დაზვერვის მართვის პუნქტების ერთობლიობას, დაკომპლექტებულს პირადი შემადგენლობითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.
დაზვერვის მართვის ჯგუფი	ოფიცერ-მზვერავთა ფუნქციონალურად დანაწილებული ჯგუფი, რომელიც შექმნილია დაზვერვის ღონისძიებათა მართვისა და სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავებისათვის მართვის პუნქტებში ოპერაციის (საბრძოლო მოქმედებების) მომზადებისა და მსვლელობის პერიოდში.
დაზვერვის მეთოდი	დაზვერვის ძალებისა და საშუალებების მოქმედების ხერხი (მეთოდი), რომლის მიზანს წარმოადგენს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება.
დაზვერვის მიზანმიმართულება	დაზვერვის ერთ-ერთი პრინციპი. დაზვერვის ორგანოების, ძალებისა და საშუალებების ქმედებების ერთობლიობა, მიმართული დაზვერვის ორგანიზებისა და წარმოებისაკენ ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრის შესაბამისად, ძალისხმევის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებებზე (რაიონებში) კონცენტრირებისა და სადაზვერვო (სპეციალური) ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

დაზვერვის ობიექტი	მოწინააღმდეგის (მხარის) ყველა ობიექტი, აგრეთვე შეიარაღებული ბრძოლის ძალები და საშუალებები, ეკონომიკის ინფრასტრუქტურა, საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციები, აგრეთვე, საომარი მოქმედების თეატრის (სტრატეგიული მიმართულების), საბრძოლო მოქმედებების რაიონის მახასიათებლები, რომლებიც საჭიროა კამპანიის (ოპერაციის, ბრძოლის) განხორციელებისას გადაწყვეტილების მიღებისათვის, დაზიანების საშუალებების გამოყენებისა და გარემო პირობების პროგნოზირებისათვის.
დაზვერვის ორგანიზება	მეთაურებისა და შტაბების მოქმედება, მიმართული დაზვერვის დაგეგმვის განხორციელების, ძალებისა და საშუალებების მომზადების, სადაზვერვო ამოცანების შესრულების, დაზვერვის მართვისა და ურთიერთქმედების ორგანიზების, აგრეთვე, სადაზვერვო ძალებისა და საშუალებების ყოველმხრივი უზრუნველყოფისთვის.
დაზვერვის პასუხისმგებლობის რაიონი	მეთაურისათვის განსაზღვრული რაიონი, რომელშიც იგი პასუხისმგებელია მის განკარგულებაში არსებული საშუალებებით სადაზვერვო უზრუნველყოფაზე.
დაზვერვის პასუხისმგებლობის სექტორი	მოცემული სივრცე, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება უწყვეტი თვალთვალი (მიმდინარეობს დაზვერვა) მოწინააღმდეგის ძალებსა და საშუალებებზე.
დაზვერვის საშუალებები	დაზვერვის ხელსაწყოების, აპარატურის, ტექნიკური საშუალებებისა და ოპერატიული, ტაქტიკური, სადაზვერვო სისტემების (მათ შორის - კოსმოსური) ერთობლიობა, განკუთვნილი სტრა-

	ტეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური დაზვერვის ამოცანების შესასრულებლად.
დაზვერვის სახე	დაზვერვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც იყოფა გამოყენების სფეროების (საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო, კოსმოსური), შესასრულებელი ამოცანების, დონეების (სტრატეგიული, ოპერატიული, ტაქტიკური), გამოყენებული საშუალებების (რადიოლოკაციური, რადიო და რადიოტექნიკური, ჰიდროაკუსტიკური და სხვა), ჯარების სახეების მიხედვით, ასევე, იმის მიხედვით, თუ ვის ინტერესებში ხორციელდება დაზვერვა (საარტილერიო, საინჟინრო და სხვა).
დაზვერვის სიზუსტის მაჩვენებელი	დაზვერვის სახეებისა და საშუალებების შესაძლებლობების რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს მოწინააღმდეგის გამოვლენილი ობიექტების (სამიზნეების) ადგილმდებარეობას, ხასიათდება სადაზვერვო ობიექტების კოორდინატების (სწორკუთხა, პოლარული) საშუალოკვადრატული ცდომილებით.
დაზვერვის სიღრმე	ჯარების შესახებ განსაზღვრული ზღუდიდან (მოწინავე ხაზიდან) მოწინააღმდეგის ზურგში მითითებულ ზღუდემდე აღებული მანძილი, რომლის ფარგლებშიც შეუძლიათ ეფექტურად იმოქმედონ სადაზვერვო ქვედანაყოფებმა (დაზვერვის ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობის სიღრმე).
დაზვერვის სიცოცხლის-უნარიანობა	დაზვერვის ძალებისა და საშუალებების, აგრეთვე მათი მართვის ორგანოების თვისება, დაიცვან ან შეინარჩუნონ სადაზვერვო ამოცანების განხორციელების უნარი.

დაზვერვის ტექნიკური საშუალებები	სადაზვერვო ნაწილების (ქვედანაყოფების) შეიარაღებაში არსებული აპარატურა, ხელსაწყოები, მოწყობილობები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება მოწინააღმ-დეგის ობიექტების ფიზიკური ნიშნების, მოქმედების ხასიათისა და კოორდინატების განსაზღვრა.
დაზვერვის უწყვეტობა	დაზვერვის ერთ-ერთი პრინციპი. დაზვერვის ყველა დანაყოფის, ძალებისა და საშუალებების უწყვეტი მოქმედება, ოპერაციის, ბრძოლის მომზადებისა და მსვლელობის პერიოდში.
დაზვერვის ფარულობა	დაზვერვის ერთ-ერთი პრინციპი. დაზვერ-ვის ძალებისა და საშუალებების, მათი მართვის ორგანოების ქმედებები, მიმართუ-ლი დაზვერვის ღონისძიებათა ფარულობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისაკენ, განხორციელებული სარდლობებისა და შტაბების მიერ. აგრეთვე ქმედებები, მიმართული დაზვერვის ძალების, შესაძლებლობებისა და მათი განლაგების შესახებ მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანისაკენ.
დაზვერვის შესაძლებლობები	მაჩვენებლების ერთობლიობა, რომლითაც ფასდება დაზვერვის თითოეული საშუალების შესაძლებლობა, გამოავლინოს მოწინააღმდეგის ობიექტი (სამიზნე) სხვადასხვა გარემო პირობებში.
დაზვერვის შესაძლებლობების მაჩვენებლები	დაზვერვის ძალებისა და საშუალებების საინფორმაციო და ოპერტიული მაჩვენებ-ლების (პარამეტრების) ერთობლიობ ა, რომლითაც ხასიათდება მოპოვებული ინფორმაციის სიზუსტე,

დაზვერვის ციკლი	ქმედებათა თანმიმდევრობა მოწინააღმდეგის ობიექტის (სამიზნის) აღმოჩენიდან მისი განადგურების (დაზიანების) გადაწყვეტილების მიღებამდე.
დაზვერვის ძალები და საშუალებები	ჯარების (ძალების) საშტატო სადაზვერვო შენაერთები და ნაწილები, აგრეთვე მათი შემადგენლობიდან გამოყოფილი, სადაზვერვო ტექნიკითა და მართვის საშუალებებით აღჭურვილი სადაზვერვო ნაწილები და ქვედანაყოფები.
დაზვერვის ძალისხმევა	დაზვერვის ძალებისა და საშუალებების უდიდესი ნაწილის გამოყენება იმ მიმართულებებით (რაიონებში), სადაც ჯარები (ძალები) ახორციელებენ მთავარ ამოცანას.
დაზვერვის წარმოება	დაზვერვის ყველა სახის დანაყოფის ძალებისა და საშუალებების მოქმედება მოწინააღმდეგის, ადგილმდებარეობის, გარემოს შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა და მისი მომხმარებლებისათვის მიწოდების მიზნით.
დაზიანების ობიექტების დაზვერვისა და დამატებითი დაზვერვის გრაფიკი	საბრძოლო დოკუმენტი - დაზვერვის გეგმის დანართი, რომელიც მუშავდება საცეცხლე-დარტყმითი საშუალებების ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე.
დაკითხვა	საბრძოლო ამოცანების შესრულების მიზნით სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების ხერხი, რომელიც ეფუძნება ტყვეების, გადმოსული სამხედრო მოსამსახურეების მიზანმიმართულ გამოკითხვას.

დეტალური დაზვერვის ზონა (ზემოქმედების ზონა)	სივრცის მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც განლაგებულია მოწინააღმდეგის ის ობიექტები (დაჯგუფებები), რომელთაგანაც უშუალო მუქარა მომდინარეობს და რომელთა შესახებაც მეთაური ვალდებულია მათი განადგურება-დაზიანების მიზნით გააჩნდეს საჭირო ინფორმაცია.

ე

ელექტრონული ბრძოლა	სამხედრო მოქმედებები, რომლებიც შეიცავენ მოწინააღმდეგის მიერ ელექტრომაგნიტური სპექტრის გამოყენების განსაზღვრას, ექსპლუატაციას, შემცირებას ან ხელის შეშლას და ჩვენი ძალების მიერ მათი ეფექტური გამოყენების უნარის შენარჩუნებას.
ელექტრონული ბრძოლის უზრუნველყოფის ღონისძიებები	წარმოადგენს ელექტრონული საფრთხის გამოვლენასთან და მის აღკვეთასთან დაკავშირებული ბრძოლის ნაწილს, შეიცავს მისი ადგილმდებარეობის აღმოჩენასთან დაკავშირებული ელექტრონული კონტრზომებისა და ტაქტიკური მოქმედებისათვის საჭირო (აუცილებელი) ინფორმაციის მოპოვებას.
ელექტრონული დაზვერვა	სადაზვერვო მონაცემების მიღება მოწინააღმდეგის ელექტრომაგნიტური (არა კავშირგაბმულობის) გამოსხივებიდან.
ელექტრონული დაცვის ღონისძიებები	ელექტრონული ბრძოლის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეიცავს ქმედებებს, მიმართულს ელექტრომაგნიტური სპექტრის ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მოწინააღმდეგის მიერ ელექტრონული ბრძოლის მეთოდების გამოყენების პირობებში.
ელექტრონული კონტრღონისძიებები	ელექტრონული ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. შეიცავს მოწინააღმდეგის მიერ ელექტრომაგნიტური სპექტრის ეფექტური გამოყენებისთვის ხელის შეშლისა და მისი შემცირებისათვის განხორციელებულ ქმედებებს.

თ

თავდასხმა — დაზვერვის ხერხი, რომელიც გამოიყენება სადაზვერვო ამოცანების შესასრულებლად სტაციონარულ ობიექტზე ან დროებით შეჩერებულ მოწინააღმდეგეზე ტყვეების აყვანის, დოკუმენტების, იარაღის ნიმუშებისა და სამხედრო ტექნიკის ხელში ჩაგდების, აგრეთვე მნიშვნელოვანი ობიექტების მწყობრიდან გამოყვანის მიზნით.

თვალთვალი (დაკვირვება) — დაზვერვის ერთ-ერთი ძირითადი ხერხი, რომელიც გულისხმობს უწყვეტ თვალთვალს მოწინააღმდეგის გადაადგილებასა და ობიექტებზე ყველა სახის ბრძოლის დროს როგორც დაზვერვის ტექნიკური საშუალებებით, ისე მათ გარეშე.

თვალთვალის ჟურნალი — საინფორმაციო-სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირდება მოწინააღმდეგის მოქმედებისა და მისი ობიექტების ადგილმდებარეობაზე განხორციელებული თვალთვალის შედეგები. წარმოებს თვალთვალის პუნქტებში, თვალთვალის საგუშაგოებზე ობიექტის მიმართ განხორციელებული თვალთვალის პროცესში, ბრძოლის ყველა სახის პირობებში.

თვალთვალის სისტემა — დაზვერვის სექტორებში ორგანიზებული, ნაწილის (ქვედანაყოფის) ფრონტზე, ფლანგებსა და ზურგში გადანაწილებული სათვალთვალო საგუშაგოებისა და პუნქტების სისტემა, განკუთვნილი მოწინააღმდეგის განლაგებასა და ადგილმდებარეობაზე მოქმედების მაქსიმალურ სიღრმეში დაკვირვების მიზნით.

ი

ინტერესების რაიონი	რაიონი, რომლის შესახებაც მეთაურს სჭირდება სადაზვერვო მონაცემები იმ ფაქტებსა და მოვლენებზე, რომლებსაც, სავარაუდოდ, გავლენა ექნებათ მის მიმდინარე და მომავალი მოქმედებების შედეგებზე.
ინტერპრეტაცია	სადაზვერვო მონაცემების არსის (შინაარსის) განმარტება.
საკუთარი ინფორმაციის არსებითი ელემენტი	საკუთარი მოქმედებების მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელთა ცოდნა მტრის მიერ მიგვიყვანს წარუმატებლობამდე, ან შეზღუდავს წარმატებას, შესაბამისად დაცული უნდა იყოს მტრის მიერ გამოვლენისაგან.
ინფრაწითელი (სითბური) დაზვერვა	მოწინააღმდეგის ობიექტების (სამიზნეების) შესახებ მონაცემების მოპოვება მათი ინფრაწითელი (სითბური) გამოსხივების დამდგენი საგანგებო ხელსაწყოების მეშვეობით (თბოვიზორები, თბო-ლოკატორები და სხვ.).

კ

კავშირგაბმულობის დაზვერვა — სადაზვერვო მონაცემების მიღება ელექტრომაგნიტური კომუნიკაციებისა და კომუნიკაციური სისტემებისაგან იმ პირთა მიერ, ვისთვისაც ის არ არის განკუთვნილი.

კავშირგაბმულობის უსაფრთხოება — შესაბამისი უფლების არმქონე პირთა მიერ კომუნიკაციებში შეღწევითა და შესწავლის შედეგად ღირებული ინფორმაციის ხელში ჩაგდების აღსაკვეთად მიმართული ყველა დაცვითი ღონისძიების ერთობლიობა. კავშირგაბმულობის უსაფრთხოება შეიცავს კავშირგაბმულობის სისტემების, მასალებისა და ინფორმაციის გადაცემის უსაფრთხოებას, გამოსხივების კონტროლს, კრიპტო-უსაფრთხოებასა და ფიზიკურ უსაფრთხოებას.

კონტრთვალთვალი — ყველა აქტიური თუ პასიური ღონისძიება, რომელიც ხორციელდება მოწინააღმდეგის თვალთვალის საწინააღმდეგოდ.

კონტრსადაზვერვო კრებსი — დოკუმენტის ფორმა, რომელშიც მოყვანილია მოთხოვნილ პერიოდში მოპოვებული კონტრდაზვერვითი ხასიათის ინფორმაციათა ერთობლიობა.

კონტრსადაზვერვო მოხსენება — დოკუმენტის ფორმა, რომელიც გამოიყენება კონტრდაზვერვითი ხასიათის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მოსახსენებლად.

კოსმოსური დაზვერვა — სამხედრო დაზვერვის შემადგენელი ნაწილი, რომლის დანიშნულებაა კოსმოსური აპარატების მიერ მოწინააღმდეგის შესახებ მონაცემების მოპოვება ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ

ოპერაციებისა (საბრძოლო მოქმედებების) და სხვა საერთო სახელმწიფოებრივი გეგმების მომზადებისათვის მშვიდობიან დროს, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამწვავების და შეიარაღებული ბრძოლის პერიოდში, აგრეთვე მონაცემების მოსაპოვებლად შეიარაღებული ძალების ოპერაციების უზრუნველყოფისათვის.

მ

მაღალი მნიშვნელობის - პრიორიტეტის სამიზნე	ძალები და საშუალებები, რომლებიც სჭირდება მეთაურს მოწინააღმდეგის ცალკეულ მოქმედებათა კურსის წარმატებით განხორციელებისათვის.
მზვერავ-თვითმფრინავი	დაზვერვის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი თვითმფრინავი (საფრენი აპარატი), რომლის დანიშნულებაა საჰაერო დაზვერვის წარმოება.
მზვერავი	პირი, რომელიც ახორციელებს არსებული ან სავარაუდო მოწინააღმდეგის შესახებ მონაცემების მოპოვებას, შესწავლასა და განზოგადებას. საერთაშორისო ომის სამართლის შესაბამისად, სამხედრო მზვერავზე ვრცელდება იგივე კანონები, რაც სამხედრო მოსამსახურეზე.
მიზნების მოპოვება	მოწინააღმდეგის მიზნების აღმოჩენა, იდენტიფიკაცია და ადგილმდებარეობის განსაზღვრა მოთხოვნილი დეტალიზებით, რაც იძლევა შეიარაღების ეფექტურად გამოყენების საშუალებას.
მიმდინარე სადაზვერვო მონაცემები	სადაზვერვო მონაცემები, რომლებიც ასახავს მიმდინარე ვითარებას როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ დონეზე.
მიმდინარე სადაზვერვო რუქა	საინფორმაციო-სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელზეც დაიტანება საბრძოლო მოქმედებების მოცემულ პერიოდში მოპოვებული სადაზვერვო მონაცემები მოწინააღმდეგის ობიექტისა (მიზნის) და დაჯგუფების შესახებ.

მიმოხილვითი დაზვერვის ზონა (ინტერესების ზონა)	სივრცის მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც მეთაურს უნდა გააჩნდეს მოწინააღმდეგის სავარაუდო მოქმედებების პროგნოზირებისა და გადაწყვეტილებების დროული მიღებისთვის საჭირო სადაზვერვო ინფორმაცია.
მნიშვნელოვანი ობიექტი	მოწინააღმდეგის ობიექტი, რომლის დაზიანება ან დაკავება მნიშვნელოვნად დააქვეითებს მისი დაჯგუფების ბრძოლისუნარიანობას, ან რომელზეც დაზვერვის ორგანიზებაც გამორიცხავს მოწინააღმდეგის მოულოდნელ მოქმედებას, მისი შემადგენლობის, ძალებისა და ჩანაფიქრის გახსნის საშუალებას იძლევა.
მოენე	მოწინააღმდეგის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც სადაზვერვო - საძიებო ჯგუფის მიერ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მიზნით ხელში იქნა ჩაგდებული.
მოთხოვნების მართვა	დაზვერვის თვალსაზრისით, მეთაურის მოთხოვნების სადაზვერვო მოთხოვნებში გარდაქმნის პროცესი.
მოსმენა (მიყურადება)	ტაქტიკური დაზვერვის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს მზვერავთა ჯგუფების მიერ, ცუდი ხილვადობის პირობებში, უშუალო მოსმენით ან სატელეფონო მოსმენის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მოწინააღმდეგის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას.
მოქმედებების უსაფრთხოება	პროცესი, რომელიც შესაბამისი პასიური და აქტიური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით აღკვეთს მოწინააღმდეგის მიერ ჩვენი ძალების განლაგების, შესაძლებლობებისა და ჩანაფიქრის დადგენას, რაც უზრუნველყოფს საკუთარი სამხედრო მოქმედებების ან წვრთნების უსაფრთხოებას.
მოძრავი სადაზვერვო	საბრძოლო მანქანა, რომელიც აღჭურვილია

პუნქტი	დაზვერვის ტექნიკური საშუალებებით და გამიზნულია საარტილერიო დაზვერვის განხორციელებისა და სარაკეტო ჯარების არტილერიის ცეცხლის მართვისათვის.
მოწინააღმდეგის დაზვერვის ქმედებების საწინააღმდეგო ღონისძიება	დროისა და ადგილის მიხედვით შეთანხმებული ტაქტიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების ერთობლიობა, განხორციელებული შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის (გვარეობების) მიერ მოწინააღმდეგის სადაზვერვო ქმედებების აღკვეთის ან მისი ეფექტურობის დაქვეითების მიზნით.
მოწინააღმდეგის დაჯგუფებისა და სავარაუდო მოქმედებების რუკა	საბრძოლო დოკუმენტი, რომელზედაც აისახება მოწინააღმდეგის შესახებ არსებული სანდო ინფორმაცია, მისი მნიშვნელოვანი ობიექტები და სავარაუდო ქმედებების პროგნოზი, მოსალოდნელი საბრძოლო ამოცანები და საბრძოლო მოქმედება.
მოწინააღმდეგის კომპლექსური დაზვერვის სისტემა	ყველა სახის დაზვერვის ძალების, საშუალებებისა და მართვის ორგანოების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული ერთიანი გეგმითა და ჩანაფიქრით ოპერაციის (საბრძოლო მოქმედებების) სადაზვერვო უზრუნველყოფის მიზნით.
მოწინააღმდეგის ობიექტის (მოქმედების) სადაზვერვო ნიშნები	შენიღბვის ზომების დარღვევა, რაც საშუალებას აძლევს დაზვერვას, ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს მოწინააღმდეგის ჯარის (ძალების) არსებობა, მათი დაჯგუფება, საბრძოლო მოქმედებისათვის მომზადების დონე, საცეცხლე სისტემა, ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობა და ა.შ. სადაზვერვო ნიშნებს გააჩნია შეიარაღებული ძალების ყველა სახეობისა და გვარეობისათვის დამახასიათებელი

	თავისებურებები. ძირითად ნიშნებს წარმოადგენს: შეიარაღების ხასიათი და რაოდენობა; ჯარების რაოდენობა, ზომები, განლაგების რაიონები და პოზიციები; კოლონების სიგრძე და შემადგენლობა, მათი გადაადგილების მიმართულება; ცეცხლისა და დაზვერვის წარმოების რეჟიმი, რადიოელექტრონული საშუალებების მდებარეობა და მუშაობის ხასიათი; რაიონებისა და პოზიციების, საინჟინრო მოწყობის ინტენსიობა და ხასიათი, ახალი გზების მშენებლობა; სხვადასხვა ხმაური და ა.შ.
მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფება	ერთ სისტემაში მოყვანილი და განლაგებული მოწინააღმდეგის სხვადასხვა სახეობის, გვარეობის, სპეციალური ჯარებისა და ლოჯისტიკის გაერთიანებები, შენაერთები, ნაწილები, რომლებიც მზად არიან საბრძოლო ამოცანებისა და ოპერაციების ჩასატარებლად.
მოხსენების დრო	დაზვერვის თვალსაზრისით, დროის შუალედი ინფორმაციის აღმოჩენიდან ანალიტიკოსის მაგიდაზე მის მოხვედრამდე.
მცირე სადაზვერვო ხომალდი	სადაზვერვო ხომალდი, რომლითაც წარმოებს რადიო და რადიოტექნიკური, ჰიდროაკუსტიკური, ოპტიკური დაზვერვა. შეუძლია გაშალოს 25-მდე სხვადასხვა სახეობის სადაზვერვო საგუშაგო.

ო

ობიექტების (სამიზნეების) გამოვლენა	დაზვერვის მთავარი ამოცანა, რომელიც ხორციელდება დაზვერვის ყველა სახის ტექნიკური საშუალების გამოყენებით და გულისხმობს პასუხისმგებლობის სექტორში მოწინააღმდეგის დაჯგუფების (ობიექტის) სადაზვერვო ნიშნების უწყვეტ ძიებასა და მისი განლაგების დადგენას ადგილმდებარეობაზე (ხმელეთზე, ჰაერში, წყალზე, წყალქვეშ).
ობიექტების გამოვლენის კოეფიციენტი	დაზვერვის ფუნქციონირების პირობითი მაჩვენებელი (კრიტერიუმი). გამოითვლება მოწინააღმდეგის იმ ობიექტების რაოდენობის მათემატიკური მოლოდინით, რომელიც გამოვლენილ იქნა მოცემული დროის პერიოდში განსაზღვრული სიზუსტით.
ობიექტის (სამიზნის) გამოვლენის (აღმოჩენის) ალბათობა	სიდიდე, რომელიც მოცემული სადაზვერვო მეთოდით ახასიათებს ობიექტის (სამიზნის) გამოვლენის (აღმოჩენის) ალბათობას.
ობიექტის შესწავლა	მზვერავების (მზვერავის) მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა ობიექტის ადგილმდებარეობის, ძალების, საშუალებების, შეიარაღების, დაცვის რეჟიმის, აქტიურობისა და სხვა ზუსტი მონაცემების დადგენის მიზნით.
ოპერატიული დაზვერვა	იმ სადაზვერვო მონაცემების მოპოვება, რომლებიც აუცილებელია ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად. ხორციელდება გაერთიანებების სარდლობისა და შტაბების ორგანიზებით.

ოპტიკური დაზვერვა	მოწინააღმდეგის ობიექტების (სამიზნეების) შესახებ სადაზვერვო მონაცემების მოპოვება ოპტიკური თვალთვალის ტექნიკური საშუალებებით, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ და გადასცენ ობიექტების ოპტიკური გამოსახულება.
ორგანო	დაზვერვის თვალსაზრისით, ორგანიზაცია ან პირი, რომელიც დაკავებულია ინფორ-მაციის შეგროვებით და/ან გადა-მუშავებით.
ორიენტირების სქემა	საბრძოლო დოკუმენტი, რომელიც მუშავდება ყველა სათვალთვალო პუნქტზე და რომელზეც აისახება დაზვერვის სექტორის ფარგლებში გადანაწილებული შესამჩნევი ადგილობრივი საგნები საგუშაგოდან მათი დაშორების მითითებით.
ოფიცერთა სადაზვერვო მზირი (პატრული)	სადაზვერვო ქვედანაყოფი მზვერავ-ოფიცერთა რიგებიდან, ჩამოყალიბებული მოწინააღმდეგის ადგილმდებარეობის, საკუთარი ძალების, მეზობლების, აგრეთვე საბრძოლო მოქმედებების რაიონის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემების შესაგროვებლად.

პ

პასუხის დრო — დაზვერვის თვალსაზრისით, ინფორმაციაზე მოთხოვნის ინიცირებასა და ამ ინფორმაციის მიღებას შორის არსებული დროის შუალედი.

პელენგაციის ბაზა — საპელენგაციო საგუშაგოებს (ცენტრებს) შორის არსებული დაშორება, რომელიც გამოიყენება მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული საშუალებების პელენგირების (მიმართულების დადგენის) მიზნით.

პელენგაციის სიზუსტე — რადიო და რადიოტექნიკური დაზვერვის შესაძლებლობების მახასიათებელი, რომელიც გამოსახავს წყაროს მიმართულებისა და მანძილის სიზუსტეს (პელენგის კუთხისა და მანძილის საშუალო კვადრატული ცდომილება).

პერსონალის უსაფრთხოება — მთელი პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების დამცავი ღონისძიებების ნაწილი, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის სადაზვერვო ორგანიზაციების, ძირგამომთხრელი ჯგუფების ან ინდივიდებისგან მომდინარე საფრთხის ნეიტრალიზება.

რ

რადიაციული და ქიმიური დაზვერვა	დაზვერვის სახეობა, რომელიც ხორციელდება რადიაციული და ქიმიური მდგომარეობის შესასწავლად დასხივებისა და ქიმიური აგენტების გავრცელების რაიონებში. დაზვერვა ხორციელდება საგანგებო რადიაციულ-ქიმიურ-ბაქტერიო-ლოგიური დაზვერვის ქვედანაყოფის მიერ.
რადიოდაზვერვა	ეს არის პასიური რადიოელექტრონული დაზვერვის ერთ–ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობა. იგი იგი წარმოებს რადიოგადაჭერის სპეციალური აპარატურის გამოყენებით და მისი ძირითადი ამოცანაა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება მოწინააღმდეგის ღია და დახურული (კოდირებული ან დაშიფრული), ანალოგური და ციფრული რადიოგადაცემების აღმოჩენის, მოპოვებისა და დამუშავების გზით.
რადიოელექტრონული ბრძოლა	შეიარაღებული ბრძოლის სახეობა, რომლის დროსაც ხდება მოწინააღმდეგის მართვის სისტემების, კავშირგაბმულობის, დაზვერვის რადიოელექტრონულ საშუალებებზე ზემოქმედება რადიოგამოსხივებით (რადიოხელშემლით), საკუთარი სისტემების ანალოგიური ზემოქმედებისაგან დაცვა, ასევე რადიოტალღების გავრცელების პირობების (გარემოს მახასიათებლების) შეცვლა._

რადიოელექტრონული დაზვერვა (რედ-ი)	სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების სახე ელექტრომაგნიტური გამოსხივების მიღებისა და ანალიზის საშუალებით.
რადიოელექტრონული დაზვერვის ობიექტები	მოწინააღმდეგის ობიექტები (სამიზნეები), რომლებსაც თავის შემადგენლობაში გააჩნიათ რადიოელექტრონული საშუა-ლებები და ასხივებენ ელექტრომაგნიტურ ენერგიას, გამოიყენებიან ჯარების, შეიარაღების სისტემების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ა.შ. მართვის მიზნით.
რადიოელექტრონული დაზვერვის ძალებისა და საშუალებების გამოყენების გეგმა	საბრძოლო დოკუმენტი – დაზვერვის გეგმის შემადგენელი ნაწილი, სადაც აისახება თუ რა ძალებით, რა ვადებში, რა მიმართულებით, რა თანმიმდევრობით შესრულდება სადაზვერვო ამოცანები რადიო და რადიოტექნიკური დაზვერვის ნაწილების (ქვედანაყოფების) მიერ.
რადიოელექტრონული დაზვერვის წყარო	წყარო, რომლის საშუალებითაც მოიპოვება ინფორმაცია მოწინააღმდეგის იმ რადიოკავშირისა და რადიოტექნიკური საშუალებების შესახებ, რომლებითაც ხორციელდება ჯარებისა და შეიარაღების შესაბამისი მართვა პუნქტებიდან.
რადიოლოკაციური გამოკვლევის ზონა	სივრცის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც რადიოლოკაციურ სადგურს შეუძლია გამოავლინოს სამიზნე (ობიექტი) განსაზღვრულ პარამეტრებზე არანაკლები სიზუსტით.
რადიოლოკაციური დაზვერვა	მოწინააღმდეგის ობიექტის (მიზნების) შესახებ მონაცემების მოპოვება, მათ შორის მათი კოორდინატების და მოძრაობის პარამეტრების შესახებ, რადიოლოკაციური სადგურების საშუალებით. წარმოადგენს

	რადიო-ელექტრონული დაზვერვის შემადგენელ ნაწილს.
რადიოლოკაციური დაზვერვის ხომალდი	სადაზვერვო ხომალდი, რომლის დანიშნულებაა საჰაერო და საზღვაო სამიზნეების (ობიექტების) გამოვლენა სახომალდე რადიოლოკაციური საშუალებებით.
რადიოლოკაციური ველის ზედა საზღვარი (ზღვარი)	მაქსიმალური სიმაღლე, რომელზეც შესაძლებელია საჰაერო სამიზნეების გამოვლენა მოცემული სიზუსტით და მათი უწყვეტი გაცილება საჰაერო მოწინააღმდეგის დაზვერვის სისტემის ერთი რადიოლოკაციური სადგურით მაინც.
რადიოლოკაციური ველის ქვედა საზღვარი (ზღვარი)	ორი ან მეტი რადიოლოკაციური სადგურის საშუალებით საჰაერო სამიზნის მოცემული სიზუსტით აღმოჩენის ყველაზე დაბალი სიმაღლე.
რადიოტექნიკური დაზვერვა	სადაზვერვო საქმიანობის სახე, რომლის მიზანია რადიოელექტრონული საშუალებების დახმარებით მოწინააღმდეგის რადიოელექტრონულ სისტემებზე ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება გამოსხივების წყაროს მდებარეობის, მისი სიჩქარის, სიგნალების ტექნიკური და შინაარსობრივი შინაარსის შესახებ.

ს

საარტილერიო დაზვერვა	დაზვერვის სახე, რომელიც საარტილერიო დაზვერვის სპეციალური ნაწილების (ქვედანაყოფების) საშუალებით სარაკეტო ჯარებსა და არტილერიას სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფს.
საარტილერიო ინსტრუმენტული დაზვერვა	საარტილერიო დაზვერვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოებს სხვადასხვა საგანგებო ხელსაწყოს (ინსტრუმენტების) საშუალებით, სამიზნეების გამოვლენისა და მათი კოორდინატების დადგენის მიზნით. მასში შედის ოპტიკური, ხმოვანი, რადიოლოკაციური და რადიოტექნიკური დაზვერვის სახეობები.
საარტილერიო სადაზვერვო კომპლექსი	საარტილერიო დაზვერვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია რადიოლოკა-ციური საშუალებების გამოყენებით სამიზნეებისა და მათი კოორდინატების გამოსავლენად.
საბაზო სადაზვერვო მონაცემები	სადაზვერვო მონაცემები ნებისმიერ საკითხზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამხმარე მასალა დაგეგმარებისათვის და საფუძვლად დაედოს მომდევნო ინფორმაციას ან სადაზვერვო მონაცემებს.
საბოტაჟი	მოწინააღმდეგის მიერ ან მის სასარ-გებლოდ აღჭურვილობის, მასალების ან მომსახურების საშუალებების განზრახ დანგრევა, განადგურება ან მწყობრიდან გამოყვანა.

საბრძოლო ეფექტურობა	ნაწილის/შენაერთის, გემის, შეიარაღების სისტემის ან აღჭურვილობის უნარი, შეასრულოს მოცემული ამოცანა ან ფუნქცია. საბრძოლო ეფექტურობა განისაზღვრება მეთაურთა შემადგენლობის, პირადი შემადგენლობის გაწვრთნილობის, ლოჯისტიკისა და მორალური მდგომარეობის სტატუსით. იგი შეიძლება გამოისახოს დონის მაჩვენებლით ან პროცენტულად.
საბრძოლო ინფორმაცია	ბრძოლაში მოგროვებული ან ნაწილებისგან პირდაპირ მოხსენებული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაუყოვნებლივ იქნას გამოყენებული ბრძოლაში ან ვითარების შესაფასებლად.
საბრძოლო სადაზვერვო მზირი (პატრული)	სადაზვერვო ქვედანაყოფი ოცეულის შემადგენლობით, რომლის დანიშნულებაა ბრძოლის დროს დაზვერვის წარმოება საკუთარი ნაწილის (ქვედანაყოფის) ფრონტის წინ და ფლანგზე, ასევე მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების არარსებობის პირობებში.
საბრძოლო სადაზვერვო მონაცემები	საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვისა და ჩატარებისთვის საჭირო სადაზვერვო მონაცემები მოწინააღმდეგის, ამინდისა და გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ.
სადაზვერვო ავიაცია	• საჰაერო ძალების შემადგენელი ნაწილი, გამიზნული საჰაერო-დაზვერვის საწარმოებლად შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის (გვარეობის) ინტერესებიდან გამომდინარე. ხორციელდება საგანგებოდ აღჭურვილი საფრენი აპარატების საშუალებით.

- საჰაერო ძალების სახეობა, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის, ადგილმდებარეობისა და ამინდის შესახებ მონაცემების მოპოვება; ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნული მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნას აღმოჩენილი მიზნის (ობიექტის) გასანადგურებლად.

სადაზვერვო მოთხოვნები	მოთხოვნები, რომელთა შესაბამისად საშუალებებით მეთაური მოელის საჭირო სადაზვერვო მონაცემებს და აყალიბებს პრიორიტეტებს თავის დავალებებში დაგეგმარებისთვის და გადაწყვეტილების მისაღებად.
სადაზვერვო განკარგულება	საბრძოლო დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც ქვემდებარე მეთაურებამდე დაიყვანება სადაზვერვო ამოცანები.
სადაზვერვო თანამგზავრი	დედამიწის კოსმოსური თანამგზავრი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა ტიპის სადაზვერვო აპარატურით და გამიზნულია დედამიწაზე და ატმოსფეროში მდებარე ობიექტების (სამიზნეების) გამოსავლენად.
სადაზვერვო ინფორმაციის განახლების ვადა	დაზვერვის სისტემის შესაძლებლობების მაჩვენებელი, რომელიც ეფუძნება დროის განსაზღვრულ მონაკვეთებს, რომელთა პერიოდშიც უნდა განხორციელდეს სადაზვერვო ინფორმაციის განახლება სხვადასხვა დონის მართვის პუნქტზე. მხედველობაში მიიღება მოწინააღმდეგის მოქმედების ხასიათი და ის დრო, რომლის განმავლობაშიც გარემოება არ შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს.

სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავების სტატისტიკური მეთოდი	გულისხმობს სადაზვერვო ინფორმაციის სისტემატურ დაგროვებასა და მათემატი-კური აპარატისა და ფარდობითობის თეორიის გამოყენებით დამუშავებას როგორც ობიექტების ჯგუფების, ასევე ცალკეული ობიექტების მიხედვით.
სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავების სტრუქტურული მეთოდი	ითვალისწინებს გამოვლენილი ობიექტების (სამიზნეების) სხვადასხვა პირობებში ფუნქციონირების ღრმა ანალიზსა და მონაცემების დაგროვებას განსაზღვრული სისტემით.
სადაზვერვო ინფორმაციის დისკრეტულობა	სადაზვერვო მონაცემების განახლების პერიოდულობა, რომელიც საშუალებას აძლევს მეთაურს, იქონიოს რეალური და უწყვეტი წარმოდგენა ვითარების ცვლილების შესახებ.
სადაზვერვო ინფორმაციის პირველადი შესწავლა	სადაზვერვო ინფორმაციის შინაარსის გაცნობის პროცესი, რომლის მიზანია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასწრაფო მონაცემების გამოყოფა მეთაურისათვის დაუყოვნებლივ მოხსენების მიზნით.
სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება	სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების პროცესი, რომელიც, როგორც წესი, ხორციელდება რადიოზოლებსა და დაზვერვის სახეობების მართვის პუნქტებში.
სადაზვერვო კორექტირების ვერტმფრენი	ვერტმფრენი, რომელიც განკუთვნილია სამიზნეების გამოვლენისა და მათი კოორდინატების დასადგენად, აგრეთვე საკუთარი არტილერიის ცეცხლის კორექტირებისათვის.

სადაზვერვო კრებსი	ოპერატიული დაჯგუფების (შენაერთის) სადაზვერვო საანგარიშო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს მოწინააღმდეგის შესახებ დროის მოცემულ მონაკვეთში, ჩვეულებრივ, დღეღამის განმავლობაში. იგი წარედგინება ზემდგომ შტაბს განსაზღვრული თანმიმდევრობით, განსაზღვრულ ვადებში, ასევე მიეწოდება ურთიერთმოქმედ და დაქვემდებარებულ შტაბებს.
სადაზვერვო მომზადება	წარმოადგენს ჯარების ყველა სახეობის, სპეციალური ნაწილების, სამსახურების, შტაბების, მეთაურთა, ოფიცერთა და პირადი შემადგენლობის მომზადებას, ბრძოლის (ოპერაციის) დროს დაზვერვის წარმოების ხერხებისა და მეთოდების შესწავლის მიზნით. ამავდროულად, არის საბრძოლო და ოპერატიული მომზადების შემადგენელი ნაწილი.
სადაზვერვო მონაცემები	დამუშავებული (აღრიცხული და გაანალიზებული) სადაზვერვო ცნობები, რომლებიც გაფორმებულია დოკუმენტის სახით. სადაზვერვო მონაცემები წარმოადგენენ სადაზვერვო ინფორმაციის შემადგენელ ნაწილებს.
სადაზვერვო მონაცემების აღრიცხვის ჟურნალი	სააღრიცხვო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც იწარმოება სადაზვერვო ნაწილებში (ქვედანაყოფებში). ხორციელ - დება ნაწილის (ქვედანაყოფის) მიერ მოპოვებული ყველა სადაზვერვო ინფორმაციის ფიქსირების მიზნით.

სადაზვერვო მონაცემების სისტემატიზების ჟურნალი	საინფორმაციო-სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელიც წარმოებს ოპერატიული დონის დაზვერვის მართვის ორგანოებში. მასში ხორციელდება გამოვლენილი სამიზნეების (ობიექტების) მონაცემების სისტემატიზება სხვადასხვა კატეგორიის (შეიარაღებული ძალების სახეობების, გვარეობების, მაღალი სიზუსტის იარაღის, მართვის ორგანოების და ა.შ) მიხედვით.
სადაზვერვო ნიშანი	დაზვერვის თვალსაზრისით, ინდიკატორი, რომელიც ასახავს პოტენციური მოწინააღმდეგის განზრახვას ან შესაძლებლობას, მიიღოს ან უარყოს მოქმედებების ესა თუ ის ვარიანტი.
სადაზვერვო ორგანო	საშტატო ან დროებით შექმნილი ქვედანაყოფი, აღჭურვილი სადაზვერვო ამოცანების შესრულებისათვის საჭირო საშუალებებით.
სადაზვერვო რაზმი	ტაქტიკური დაზვერვის ნაწილი ან ქვედანაყოფი, რომელიც გამოიყოფა საერთო საჯარისო შენაერთებიდან (ნაწილიდან) ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით მოწინააღმდეგესა და ადგილმდებარეობაზე მონაცემების მოსაპოვებლად, ძირითადად, შეტევის ან სავარაუდო შემხვედრი ბრძოლის პერიოდში. თავდაცვაში სადაზვერვო რაზმი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების არქონის შემთხვევაში. სადაზვერვო რაზმში ჩვეულებრივ ინიშნება ქვეითთა (სატანკო, სადაზვერვო, საიერიშო, საზღვაო ქვეითთა და ა.შ.) ასეული ან მექანიზებული ბატალიონი გაძლიერებული არტილერიით,

	მესანგრეებით, ტანკებით და სხვა. თავად სადაზვერვო რაზმიდან გამოიყოფა სადაზვერვო მზირები (პატრულები). სადაზვერვო რაზმი დაზვერვას ახორციელებს თვალთვალით, ჩასაფრებით, თავდასხმებით, საჭიროების შემთხვევაში-ბრძოლითაც.
სათვალთვალო საგუშაგო	მოწინააღმდეგის მიწისზედა და საჰაერო მიზნების დაზვერვისათვის დანიშნული სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი, ამ საქმიანობისათვის აუცილებელი შეიარაღებით, აღჭურვილობით და დოკუმენტებით, ასევე, ის ადგილი, საიდანაც ისინი აწარმოებენ დასმული ამოცანის შესრულებას. სათვალთვალო საგუშაგო მოწინააღმდეგის დაზვერვას აწარმოებს მითითებულ სექტორში.
სადაზვერვო საფრენი აპარატები	საჰაერო და კოსმოსური დაზვერვის საშუალებები. მათ განეკუთვნება საგანგებოდ აღჭურვილი პილოტირებული და უპილოტო საფრენი აპარატები, ვერტმფრენები, კოსმოსური აპარატები და სხვ.
სადაზვერვო სქემა (რუქა)	დამოუკიდებელი სააღრიცხვო-საინფორმაციო დოკუმენტი (სადაზვერვო შეტყობინების დანართი), რომელშიც აღნიშნულია დაზუსტებული სადაზვერვო მონაცემები მოწინააღმდეგის ობიექტებისა (მიზნების) და მოქმედებების შესახებ დროის მოცემულ მონაკვეთში.

სადაზვერვო შეტყობინება	სადაზვერვო ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია სადაზვერვო წყაროების მიერ და არ არის დამუშავებული. ეს არის ნაწილის (შენაერთის, დაჯგუფების) შტაბის სადაზვერვო საინფორმაციო-საანგარიშო დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილია ზემდგომი შტაბისათვის და შეიცავს მონაცემებს მოწინააღმდეგის შესახებ. მისი წარდგენა ხდება დადგენილ ვადებში, ქვემდგომი ინსტანციის ინიციატივით ან ზემდგომის მოთხოვნით.
სადაზვერვო ცენტრი (პუნქტი)	სადაზვერვო ფორმირება, რომელიც გამიზნულია აგენტურული დაზვერვის საწარმოებლად.
სადაზვერვო ჯგუფი	ტაქტიკური დაზვერვის ქვედანაყოფი, რომელიც იგზავნება მოწინააღმდეგის ზურგში. მის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს მოწინააღმდეგის მართვის პუნქტების, აეროდრომების, რადიო-ელექტრონული საშუალებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების საშუალებების დადგენა. ჯგუფის შემადგენლობა ძირითადად შედგება სადაზვერვო ათეულისგან. იგი მოწინააღმდეგის ზურგში გაიყვანება ჰაერით, ხმელეთით, წყლით.
სადაზვერვო-დივერსიული ქმედებები	მოწინააღმდეგის ზურგში მზვერავების მიერ განხორციელებული აქტიური ქმედებები მოწინააღმდეგის მართვის პუნქტების, მნიშვნელოვანი ობიექტების, ცოცხალი ძალის, კომუნიკაციის საშუალებების და ა.შ. განადგურების (ხელში ჩაგდების) მიზნით.

სადაზვერვო-საბრძოლო მოქმედებები	გატარებული სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად (მათ შორის ჰაერიდან) მიზანმიმართული ქმედებები აღმოჩენილი ობიექტების (სამიზნეების) შემდგომი განადგურების მიზნით.
სადაზვერვო-სასიგნალო აპარატურა (მოწყობილობა)	მოწინააღმდეგის გადაადგილების სავარაუდო მიმართულებებზე განლაგებული სპეციალური მოწყობილობა, რომლის ამოცანაა ავტომატურ რეჟიმში აღმოჩენილ და გადაცემულ იქნას მართვის პუნქტებში მოწინააღმდეგის მოქმედი რადიოელექტრონული საშუალებების მოქმედებები, საბრძოლო ტექნიკისა და ძალების გადაადგილება, მათი პირადი შემადგენლობის მოძრაობა.
სადაზვერვო-საძიებო სამუშაო	რადიო და რადიოტექნიკური საშუალებების მიზანმიმართული ქმედება მოცემული დიაპაზონების სკანირების შედეგად. მოწინააღმდეგის ახალი და ადრე გამოვლენილი წყაროების შესახებ მონაცემების მოსაპოვებლად.
საზღვაო დაზვერვა	დაზვერვის სახეობა, რომელიც წარმოებს საზღვაო ხომალდებით, თვითმფრინავებით, აგრეთვე სტაციონარული რადიოტექნიკური, ჰიდროაკუსტკური, ოპტიკური და სხვა საშუალებებით მოწინააღმდეგისა და საომარი მოქმედებების თეატრის შესახებ მონაცემების შეგროვების მიზნით.
საინჟინრო დაზვერვა	სამხედრო დაზვერვის სახეობა, რომელიც წარმოებს საბრძოლო მოქმედებების საინჟინრო უზრუნველყოფის ამოცანების შესასრულებლად.

საინფორმაციო დოკუმენტები	დოკუმენტები, რომლებიც მუშავდება დაზვერვის მართვის ორგანოების სადაზვერვო-საინფორმაციო ქვედანაყოფების მიერ (სადაზვერვო კრებსები, სადაზვერვო შეტყობინებები, სადაზვერვო სქემები და სხვ.)
საინფორმაციო მუშაობა	დაზვერვის მართვის ორგანოების მუშაობის მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც გულისხმობს სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას, მეთაურებისა და შტაბებისათვის მონაცემების მომზადებას, აგრეთვე ურთიერთმოქმედ ნაწილებს შორის სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლისა და შეტყობინების ორგანიზებას.
საინფორმაციო სივრცე	გარემოს პირობითი დასახელება, რომელშიც ცირკულირებს (მიიღება, გადაეცემა, აისახება) სხვადასხვა სახის ინფორმაცია, აგრეთვე, ტექნიკური ხელსაწყოები და კომპიუტერული საშუალებები, გამოყენებული საჭირო ინფორმაციის მოპოვების, გადაცემის, მიღების, შენახვისა და დანაწილებისათვის. აღნიშნულ სივრცეში გამოიყენება საშუალებები, რომლებიც დაცულია მოწინააღმდეგის შეღწევისა და დაგროვილი ინფორმაციის გადინებისაგან.
სამანევრო ქვედანაყოფი	საგანგებო დანიშნულების რადიო და რადიოტექნიკური დაზვერვის ქვედანაყოფი, განკუთვნილი მოწინავე ხაზის მიმდებარე ზონაში რადიოლოკაციური დაზვერვის წარმოებისათვის.
სამეთაურო-სადაზვერვო ცენტრი	სადაზვერვო ნაწილი, შექმნილი სადაზვერვო-საინფორმაციო სამუშაოს განსახორციელებლად და სახელმძღვანელოდ.

სამიზნეების (ობიექტების) ერთიანი ნუმერაცია	დაზვერვის ყველა სახის მიერ გამოვლენილი სამიზნეების (ობიექტების) ნუმერაციის სისტემა, რომელიც წარმოებს ოპერატიულ დაჯგუფებებში მდგომარეობის ერთიანი ხედვის, დაზვერვის ეფექტიანი დაგეგმვისა და წარმოების, აგრეთვე მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ობიექტების დაზიანების მიზნით.
სამიზნეების კოორდინატების განსაზღვრა	მზვერავების მოქმედების შემადგენელი ნაწილი (დაზვერვის ტექნიკური საშუალებების საბრძოლო მომსახურება, აეროფოტოსურათების დეშიფრირება და ა.შ.), მიმართული აღმოჩენილი სამიზნის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენაზე.
სამიზნე	დაზვერვის თვალსაზრისით, ქვეყანა, რაიონი, ნაგებობა, ორგანო ან პირი, რომლის მიმართაც ორგანიზებულია დაზვერვის საქმიანობა.
სამიზნის ფორმულარი	საინფორმაციო დოკუმენტი, რომელშიც აღნუსხულია სამიზნეების მთავარი მახასიათებლები, მათი სქემები (ფოტოები, ჩანახატები) და სადაზვერვო ნიშნები.
სამხედრო დაზვერვა	შეიარაღებული ძალების ყველა დონის სარდლობების, შტაბებისა და ცალკეული ნაწილების მიერ ქვეყნებსა და სახელმწიფოთა კოალიციებში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, რეალური ან სავარაუდო მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალის, მისი შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო-ეკონომიკური მდგომარეობის, მიზნების, საომარი მოქმედებების თეატრის, ბრძოლების ხასიათის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული საქმიანობა.

სამხედრო დაზვერვა იყოფა:

- მის წინაშე მდგარი ამოცანების მასშტაბების მიხედვით - სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დაზვერვად;
- ჯარების სახეობების მიხედვით – სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და კოსმოსურ დაზვერვად;
- გადასაწყვეტი ამოცანების მიხედვით – აგენტურულ, სპეციალურ, რადიო და რადიოტექნიკურ, საჯარისო, საარტილერიო, საინჟინრო, ქიმიურ, ბიოლოგიურ (ბაქტერიოლოგიურ), ტოპოგრაფიულ, ჰიდროგრაფიულ, ჰიდრომეტეოროლოგიურ, ტექნიკურ, ზურგის (ლოჯისტიკურ) დაზვერვად.
- გამოყენებული დაზვერვის ტექნიკური საშუალებების მიხედვით – რადიოელექტრონულ, ოპტიკურ, ხმოვან, ჰიდროაკუსტიკურ, სეისმოაკუსტიკურ, მაგნიტომეტრულ და სხვა სახის დაზვერვად.

სამხედრო საფრთხე

- სახელმწიფოთაშორისი დამოკიდებულებების მდგომარეობა, რომლის დროსაც არსებობს სამხედრო კონფლიქტის წარმოშობის პოტენციური და რეალური შესაძლებობა;
- სამხედრო–პოლიტიკური ვითარების მდგომარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოწინააღმდეგე მხარეთა შორის სამხედრო კონფლიქტის უშუალო შესაძლებლობა. განპირობებულია მათ შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობით, პოლიტიკური განზრახვითა და ნება–სურვილით.

სახმელეთო დაზვერვა	დაზვერვის სახეობა, რომელიც ხორციელ-დება სახმელეთო ქვედანაყოფებისა და ნაწილების ძალებით, რადიო და რადიოტექნიკური, რადიოლოკაციური, საარტილერიო, საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური (ბაქტერიოლო-გიური) დაზვერვის მეთოდების გამოყე-ნებით.
საჯარისო დაზვერვა	სახმელეთო დაზვერვის ერთ-ერთი სახე, რომელიც ხორციელდება საერთო საჯარისო შენაერთების (ნაწილების) სადაზვერვო, მექანიზებული, სატანკო, აერომობილური, საზღვაო ქვეითთა დანაყოფების მიერ მოწინააღმდეგის შესახებ მონაცემების მოპოვების მიზნით.
საჰაერო დაზვერვა	დაზვერვის სახეობა, რომელიც ხორციელდება სადაზვერვო ავიაციის ნაწილების (ქვედანაყოფების), უპილოტო საფრენი აპარატების, ასევე, საფრენი აპარატის ეკიპაჟის ყველა წევრის მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს მოწინააღმდეგის ადგილმდებრეობის და სხვა საინტერესო პარამეტრების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მიზნით.
საჰაერო დაზვერვის გეგმა	ძირითადი საბრძოლო დოკუმენტი, რომლის შესაბამისად ხორციელდება საჰაერო დაზვერვა საავიაციო გაერთიანების მიერ საკუთარი და ჯარის სხვა სახეობების ინტერესებიდან გამომდინარე.
საჰაერო მოწინააღმდეგის დაზვერვა	დაზვერვის სახეობა, რომელიც წარმოებს რადიოლოკაციური სადგურებით, რადიო და რადიოტექნიკური, ასევე ვიზუალური თვალთვალის საშუალებებით საჰაერო მოწინააღმდეგის დროული გამოვლენის მიზნით.

სიგნალების დაზვერვა	საერთო ტერმინი, რომელიც გამოიყენება კავშირგაბმულობისა და ელექტრონული დაზვერვის (COMINT და ELINT) აღსანიშნად, როდესაც საჭირო არ არის განსხვავების დაფიქსირება დაზვერვის ამ ორ ტიპს შორის.
სიღრმითი დაზვერვა	მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში განხორციელებული საჯარისო დაზვერვა.
სპეციალური დაზვერვა	დაზვერვის სახეობა, რომელიც ხორციელდება სავარაუდო მოწინააღმდეგის პოლიტიკური, ეკონომიკური, საჯარისო და მორალური პოტენციალის დაქვეითების მიზნით. წარმოებს სპეციალური ძალების ნაწილების მიერ სამხედრო და სპეციალური სამსახურების ორგანიზებით.
სპეციალური დაზვერვის გადანაწილების და ძალების გაძლიერების გრაფიკი	სპეციალური დაზვერვის ძალებისა და საშუალებების გამოყენების გეგმის განმარტებითი ბარათის შემადგენელი ნაწილი. მასში დეტალურად აისახება სპეცდანიშნულების ძალებისა და საშუალებების გადანაწილება, ამოცანების, შესრულების მეთოდები, მათი გაძლიერება საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, სპეციალური და სადაზვერვო ამოცანების შესრულების ვადები.
სპეციალური დაზვერვის ორგანოების გაყვანა	ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ჯარებისა და სადაზვერვო ორგანოების ძალებით სპეციალური დაზვერვის ქვედანაყოფების მოწინააღმდეგის ზურგში გაყვანის მიზნით, მათ მიერ სპეციალური და სადაზვერვო ამოცანების შესასრულებლად.

სპეციალური დაზვერვის ძალებისა და საშუალებების საბრძოლო გამოყენების გეგმა	წარმოადგენს საბრძოლო დოკუმენტს - დაზვერვის გეგმის შემადგენელ ნაწილს, სადაც განისაზღვრება, თუ სპეციალური დანიშნულების რა ძალებით, რა ვადებში, რომელ რაიონებში, რა თანმიმდევრობით უნდა შესრულდეს სადაზვერვო და სპეციალური ამოცანები.
სპეციალური დანიშნულების რაზმი	სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფი, რომლის დანიშნულებაა, შეიარაღებული ძალების ინტერესების შესაბამისად მოიპოვოს მონაცემები მოწინააღმდეგის შესახებ და განახორციელოს სპეციალური ამოცანები მის ღრმა ზურგში.
სპეციალური დანიშნულების სადაზვერვო ჯგუფების მოწინააღმდეგის ზურგში გადაყვანის გეგმა	დოკუმენტი, სადაც აისახება მოწინააღმდეგის ზურგში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის გაყვანისა და მათი საქმიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსური საკითხები.
სპეციფიური სადაზვერვო მოთხოვნები	პრიორიტეტულ სადაზვერვო მოთხოვნებსა და მათი მოპოვების ორგანიზებაზე დაფუძნებული სპეციფიური მოთხოვნები.

ტ

ტაქტიკური დაზვერვა — იმ სადაზვერვო მონაცემების მოპოვება, რომლებიც აუცილებელია ბრძოლის წარმატებით მომზადებისა და წარმოებისათვის. ხორციელდება შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების, ძალების სახეობების, სპეციალური ჯარებისა და სამსახურების მეთაურებისა და შტაბების ორგანიზებით.

ტექნიკური ანალიზისა და ამოცანების სადაზვერვო საგუშაგო — რადიოელექტრონული დაზვერვის ორგანო, გამიზნული სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად, ასევე მოწინააღმდეგის ტექნიკური საშუალებების მიერ გამოსხივებული ტალღების პარამეტრების, ტექნიკური მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე მათი კლასის, სახეების, ტიპების, შესაძლებლობების და ა.შ. დასადგენად.

უ

ურთიერთდაკავში-რება	დაზვერვის თვალსაზრისით პროცესი, რომელიც ინფორმაციის საიმედოობისა და უტყუარობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აკავშირებს და აერთიანებს დამოუკიდებელი მიმოხილვის მონაცემებს ცალკეულ საკითხზე ან საგანზე.
უსაფრთხოება	მდგომარეობა, როცა განსაზღვრული ინფორმაცია, მასალები, პერსონალი, საქმიანობა და ნაგებობები დაცულია შპიონაჟის, საბოტაჟის, ძირგამომთხრელი საქმიანობის ან ტერორიზმისაგან, ასევე დანაკარგებისა და არაუფლებამოსილი გათქმისაგან.
უტყუარი მონაცემები (ინფორმაცია)	სადაზვერვო ინფორმაცია, რომელიც არ ბადებს ეჭვს.

ფ

ფიზიკური უსაფრთხოება — უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფიზიკურ ღონისძიებებს პირადი შემადგენლობის, აღჭურვილობის, ნაგებობების, მასალებისა და დოკუმენტების შპიონაჟის, საბოტაჟის, დაზიანებისა და გაძარცვისგან დაცვის მიზნით.

ფოტოდაზვერვა — დაზვერვის სახე, რომლის დროსაც მოწინააღმდეგის (სამიზნეების) გამოვლენისა და ფიქსირებისათვის გამოიყენება ფოტოაპარატურა.

ფოტოსურათის დეშიფრირების სიზუსტე — მოცემული მასშტაბის აეროფოტოსურათებზე აღბეჭდილი მოწინააღმდეგის ობიექტების (სამიზნეების) სწორკუთხა კოორდინატების საშუალოკვადრატული ცდომილება.

შ

შეგროვება — სადაზვერვო ციკლის ფაზა, რომლის დროსაც წარმოებს შემგროვებელი ორგანოების მიერ წყაროებისა და საბრძოლო ერთეულებიდან სადაზვერვო მონაცემების მიღება მისი შემდგომი გადამუშავების მიზნით.

შეგროვების გეგმა — სადაზვერვო მონაცემებისათვის ყველა ხელმისაწვდომი წყაროსაგან ინფორმაციის შეგროვების, მოთხოვნებისა და ამ მოთხოვნების შესაბამისი ორგანოებისათვის განკუთვნილ ბრძანებებსა და განაცხადებში გარდაქმნის გეგმა.

შეგროვების მართვა — სადაზვერვო მოთხოვნების შეგროვების მოთხოვნებში გარდაქმნის, შესაბამისი შემგროვებელი წყაროებისა და ორგანოების დადგენის და დავალების, შედეგების კონტროლის და, საჭიროებისამებრ, გადავალების პროცესი.

შეფასება — დაზვერვის თვალსაზრისით, სადაზვერვო ციკლის დამუშავების ფაზის საფეხური, რომელზეც ხდება ინფორმაციის პუნქ-ტების შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით:

- წყაროს საიმედოობა;
- ინფორმაციის უტყუარობა.

შეჯერება — დაზვერვის თვალსაზრისით საფეხური სადაზვერვო ციკლის გადამუშავების ფაზაში, რომელშიც დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ან სადაზვერვო მონაცემების დაჯგუფება უზრუნველყოფს მოვლენების აღრიცხვას და აადვილებს შემდგომ გადამუშავებას.

შპიონაჟი	საიდუმლო საშუალებებით ინფორმაციის შეგროვება სადაზვერვო მიზნით.

ძ

ძალების დაცვა

წარმოადგენს მეთაურისათვის ძალებისა და საშუალებების დასაცავად ხელმისაწვდომი საშუალებების, რესურსებისა და ღონისძიებების კომპლექსს. არის ეროვნული პასუხისმგებლობა, რომელიც იწყება სტრატეგიულ დონეზე და ვრცელდება ოპერატიულ და ტაქტიკურ დონემდე. მრავალეროვნულ ოპერაციებში გაერთიანებული ძალების სარდალი თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში ახორციელებს ძალების დაცვას მასპინძელ ქვეყანასთან და მოკავშირე ძალებთან კოორდინაციით. საშუალებები, რესურსები და ღონისძიებები არსებითია ძალთა დაცვის მისაღწევად.

ძირგამომთხრელი საქმიანობა

საქმიანობა, რომელიც მიმართულია ქვეყნის მოქალაქეების მორალის, ლოიალობისა და საიმედოობის შერყევის გზით მისი სამხედრო, ეკონომიური ან პოლიტიკური სიძლიერის დასასუსტებლად.

ძირგამომთხრელი საქმიანობის საწინააღმდეგო მოქმედებები

საქმიანობა, რომელიც მიმართულია ძირგამომთხრელი საქმიანობის აღმოჩენისა და კონტრმოქმედებებისათვის.

წ

წინასწარი ბაზირების ადგილი

სპეციალური დანიშნულების სადაზვერვო ქვედანაყოფების წინასწარი ფარული განლაგებისათვის მომზადებული კონსპირაციული სამალავი იმ ტერიტორიაზე, რომელიც, სავარაუდოდ, დაკავებული იქნება მოწინააღმდეგის მიერ.

წყარო

დაზვერვის თვალსაზრისით, პირი ან საგანი, ვისგანაც ან რისგანაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება.

წყლის დაბრკოლების დაზვერვა

წყლის წინაღობისა და მისი მიმდებარე გარემოს შესახებ მონაცემების მოპოვება, შეგროვება და დამუშავება. წყლის წინაღობის დაზვერვის მიზანს წარმოადგენს ფარულად მიახლოების, გადასასვლელის მოწყობის, წინაღობის ფორსირების ადგილების შერჩევა. განსახორციელებლად გამოიყენება საჯარისო დაზვერვის ან საინჟინრო დაზვერვის ძალები. წყლის წინაღობის დაზვერვის პროცესში დგინდება: წყლის წინაღობასთან მიახლოების გზები, ადგილმდებარეობის გამავლიანობა და შემნიღბავი თვისებები; ახლო და შორ ნაპირზე არსებული ხელოვნური და ბუნებრივი წინაღობები; ნაპირების ხასიათი, ნაკადის სიგანე, სიღრმე და სიჩქარე; ფსკერის ხასიათი და პროფილი; ფონების მახასიათებლები; ყინულის საფარის არსებობა და მისი ხასიათი; წინაღობის გადალახვის ყველაზე მოსახერხებელი მონაკვეთები; არსებული ხიდების მდგომარეობა და პარამეტრები; ჰიდროტექნიკური ნაგებობების არსებობა და სხვა.

ხ

ხმოვანი დაზვერვა — საარტილერიო დაზვერვის სახეობა, რომელიც განკუთვნილია ხმოვანი წყაროს აღმოსაჩენად (ჭურვის აფეთქება, ქვემეხის, ნაღმმტყორცნის გასროლა) მისი მიმართულების დადგენის საშუალებით ერთდროულად 2-3 ხმოვანმეტრული საგუშაგოს მიერ.

ხმოვანი საგუშაგო — ხმოვანი დაზვერვის ქვედანაყოფების საბრძოლო წყობის ელემენტი, რომელზეც დგება ხმოვანმეტრული მიმღები მოწინააღმდეგის ქვემეხების (ნაღმტყორცნის) გასროლის ან საკუთარი არტილერიის ჭურვების აფეთქების აკუსტიკური ენერგიის დასაფიქსირებლად.

ხმოვანმეტრული სადგური — აკუსტიკური, ელექტრონული ხელსაწყოების სისტემა, განკუთვნილი ხმოვანმეტრიის მეთოდით ხმის წყაროს ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი “ სადაზვერვო საქმიანობის შესახებ” – 2010 წელი.

2. საქართველოს კანონი “დაზვერვის სამსახურის შესახებ” – 2010 წელი.

3. საქართველოს კანონი “ სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” – 1996 წელი.

4. რევაზ ასათიანი – ,,საგარეო დაზვერვაში გამოყენებული ტერმინებისა და განსაზღვრებების განმარტება'' – თბილისი, 2001 წელი.

5. რევაზ ასათიანი – ,,ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურებში გამოყენებული ტერმინების, გამოთქმებისა და შემოკლებების ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ლექსიკონი'' – თბილისი, 2002 წელი.

6. ,,სასაზღვრო უწყების მიერ საერთაშორისო-სამართლებლივ დოკუმენტებსა და დიპლომატიურ პრაქტიკაში გამოყენებული ტერმინები და ცნებები'' - შემდგენელი: მანანა ხვედელიძე, გამომცემლობა “განათლება” – თბილისი, 1999 წელი.

7. დარეჯან ლეკიაშვილი – ,,ოპერატიული მუშაკის ცნობარი'' – თბილისი, 2006 წელი.

8. ,,კონტრდაზვერვის ტერმინოლოგიის ლექსიკონი'' – თბილისი, 2000 წელი.

9. ,,უცხო სიტყვათა ლექსიკონი'' - მ.ნ.ჭაბაშვილი, გამომცემლობა ,,განათლება“ - თბილისი, 1989 წელი.

10. ,,ენციკლოპედიური ლექსიკონი'' - ა.მ.პროხოროვი, სამეცნიერო გამომცემლობა მოსკოვი, 1998 წელი.

11. ,,სტრატეგიული დაზვერვა და სტრატეგიული აზროვნება'' - გ.პოჩეპცოვი, სტრატეგიული ინიციატივების სამმართველო – კიევი, 2006 წელი.

12. ვაშინგტონ პლეტი – ,,სტრატეგიული დაზვერვა'' – მოსკოვი, 1997 წელი.

13. ,,სპეცსამსახურების საქმიანობა და დემოკრატიული კონტროლი – პროფესიული თვალსაზრისი'' - შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი, ბიულეტენი N3. – 2005 წელი.

14. Department of Defense, Dictionary of Military and Associated Terms, 12 April, 2001 (As Amended Through 19 August 2009).

15. FM 2-22.3 (FM 34-52) Human Intelligence Collector Operations Headquarters, Department of the Army, September, 2006.

16. Joint Publication 2-01 Joint and National Intelligence
Support to Military Operations 7 October 2004

17. Joint Publication 2-0 Joint Intelligense 22 June 2007

18. Joint Doctrine Publication 0-01.1 United Kingdom Glossary of joint and
Multinational Terms and Definitions
Joint Doctrine Publication 0-01.1 (JDP 0-01.1), Edition 7 June 2006

19. NATO Glossary of Terms and Definitions AAP-6 (2002)
NATO Standardization Agency (NSA) 2002

20. Военный энциклопедический словарь
Министерство Обороны Российской Федерации, Институт военной истории.
Научное издательство “Большая Российская Энциклопедия” Москва, 2001 г.

სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

Intelligence Terms Dictionary
(in Georgian language)

ტექნიკური რედაქტირება:
ერეკლე კახაძე
ვახტანგ გავაშელიშვილი
გიორგი გოგოლაძე
მანანა გიორგაძე
იოსებ წიკლაური
თამარ ცისკარიშვილი

დაიბეჭდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
წვრთნებისა და სამხედრო
განათლების სარდლობის
სამხედრო კარტოგრაფიულ ცენტრში

ტირაჟი 50 ც.